ცნობის ფურცელი

№ 2400 ხუთშაბათი 5 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2400

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში ექვსი გვერდია ცალკე-№-რი „დამატებით“ ღირს 5 კაპ.

ქართული თეატრი
საყველიერო რეპერტუარი

ხუთშაბათს, 5 თებერვალს 1904 წ. ვ. ლ. გუნიას საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა

I

ჩატეხილი ხიდი

დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი (ნორდაუდან).

II

არც აქეთ არც იქით

ვოდევილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

—

შაბათს 7 თებერვალს

ბენეფისი მეორე ხარისხოვან არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსისა

სამშობლო

დრამა 5 მოქმ. ერისთავისა.

—

კვირას, 8 თებერვალს, უკანასკნელი წარმოდგენა.

ბენეფისი რეჟისორის თ. აკაკი წერეთლისა ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

თამარ ცბიერი

დრამა 5 მოქმ. აკაკი წერეთლისა.

ყველა წარმოდ.—ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 5 თებერვალს, 1904 წ., ი. ა. კელლერის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქ. მუსიკ. ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, ლელინა, კარრი და სკორუპსკაია; ბ-ნნი: [illegible]რსკი, ილიუშჩენკო, ევლახოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

[illegible]: 6 თებ. ორი წარ. დილით „სნეგუროჩკა“, საღამოთი „ევგ. ონეგინ“.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (0—120)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ჭამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

გრ. შ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. შ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების მნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—49)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—15)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიაშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიაშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღაამოობით 5—7-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

ბანკის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ უძრავ მამულთა, დაგირავებულთა ბანკში, რომელთ პატრონებს არ შემოუტანიათ 1 ივლისის 1903 წლ. გადასახადი ფული.

ქალაქის მამულებზედ ვაჭრობა იქნება 10 თებერვალს.

დაბა და სოფლებისაზედ 12 თებერვალს. მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 27 თებერვალს.

შემოსატანი ფული მიიღება ვაჭრობის დღემდის ქუთაის ბანკის კასსაში, ტფილისში—აზოვ-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ბათუმში—სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილებაში. 3—1

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ალაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (6 10—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან)

3 თებერვალი

პეტერბურგი. პატრიოტული შეწირულებანი: შადრინსკში—საბჭოს 1000 მანეთი შეუწირავს, ხელის მოწერით შეუკრებიათ 4000 მანეთი, ელისავეტგრადის—საბჭოს 5,000 მან., რიგის ბირჟის ვაჭრებს 25 ათასი მან., სოფ. ბაირანჩის საზოგადოებას—100 მან., გროდნოს საბჭოს—4 ათასი მან. ბაქოსა, ბელოსტოკსა, ჩერნიგოვსა, კიშინევსა, გროდნასა, ირკუტსკსა, პეტროპავლოვსკსა, ტფილისსა, ხოლმოგორსა, კოვნასა, ვილნოსა, ტამბოვსა, ნოვოროსიისკსა, მელენკსა და მორშანსკში პატრიოტული მანიფესტაციები გაუმართავთ.

მოსკოვი. დღეს კაზანის გზით ორი როტა გაისტუმრეს შორეულ-აღმოსავლეთს. როტები გენერლებმა და ქალაქის წარმომადგენლებმა გააცილეს. ქალაქის მოურავმა ჯარს ხატი მიართვა.

ჩისტოპოლი. გუშინ „სტარო ობრიადცების“ საზოგადოებამ პარაკლისი გადაიხადა ხელმწიფის დღეგრძელობისა და მხედრობის გამარჯვებისათვის.

რეველი. ბალტიის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში მრავალი მუშის თანადასწრებით უმაღლესი მანიფესტი წაიკითხეს, სიტყვა წარმოსთქვეს, პარაკლისი გადაიხადეს და გენერალ ბოგდანოვიჩის პატრიოტული ბროშიურები დაარიგეს. შესანიშნავია მუშების პატრიოტული ენტუზიაზმი. მუშებმა დაადგინეს, სამუშავო ქირიდან ყოველ თვე ერთი ნაწილი წითელ ჯვრის სასარგებლოდ შეეწიროთ.—გუშინ მსროლელთა ორი როტა წავიდა შორეულ-აღმოსავლეთს. ხალხი ყველა სადგურზე ჰიმნის გალობითა და „ურას“ ძახილით უხვდება ამ როტებს.—წითელ ჯვრის ჯვართ-ამაღლების საზოგადოებამ ყოველ ჯარის-კაცს სათითაოდ ტყავის აბგები დაურიგა. აბგაში აწყვია ქრილობის შესახვევი მასალა, ორიოდე ღია წერილი, კარანდაში, ნემსი და ძაფი.

ტოკიო. რუსები ფინ-ხუან-ჩენში 37 ათას ჯარის კაცსა ჰკრებენ. ფინ-ხუან-ჩენი უმთავრესი სიმაგრე იქნება მდინარე იალუს ნაპირას მანჯურიის მხარეს.

ლონდონი. („რეიტერის სააგენტო“) გამოაცხადდა ლურჯი წიგნი იმის შესახებ, რომ რუსეთმა მანჯურია და ნიუ-ჩუანი დაიჭირაო. დოკუმენტებიდან სჩანს, რომ რუსეთის ელჩს გამოუცხადებია ლანსდოუნისათვის, რუსეთი წინაამდეგი არაა, უცხო სახელმწიფოებმა მანჯურიაში ხელ-შეკრულობით მოპოვებულ უფლებით ისარგებლონ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთს ჰსურს თავისი არსებითი ინტერესები და რკინის გზა დაიცვას. რუსეთმა ბევრჯელ მოინდომა ჩინეთთან ხელშეკრულობის დადება და მეტად სამწუხაროა, რომ ჩინეთმა თავის უსაბუთო მოქმედებით და მანჯურიის ურიგო წესებმა რუსეთის მეცადინეობა გააქარწყლესო. ლანსდოუნი დაკმაყოფილებულა ამ განმარტებით.

ლონდონი („რეიტერის სააგენტო“). „ლოიდის სააგენტო“ იუწყება, იაპონელების მიერ დაჭერილი გემი „მანჯურია“ სასებოში მოვიდა, ნაგასაკის ახლოო.

ნიუ-ჩუანი. („რეიტერის სააგენტო“) 50 იაპონელი, ტიან-ძინში მიმავალი, მანჯურიის რკინის გზაზე დაატუსაღეს და პორტ-არტურს გაგზავნეს.

ნიჟნეტაგილსკის ქარხანა. პერმის რკინის გზას გამოეცხადა, რომ ზაბაიკალის გზაზე 75 ფუთზე მეტს ტვირთს აღარ მიიღებენო. ციმბირის რკინის გზაზე 75 ფუთიან ტვირთებს რიგ-რიგად იღებენ.

კრონშტადტი. დღეს შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალი აქაური ნავთ-სადგურის მთავარი უფროსი ვიცე-ადმირალი მაკაროვი დიდის ამბით გააცილეს.

სოფია. რუსეთის მთავრობამ გამოუცხადა ბოლგარიის მთავრობას: თუმცა რუსეთი აღმოსავლეთ-აზიაში გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაინც მეჯითად მოითხოვს რეფორმების ასრულებასაო. რუსეთის მთავრობა არ მოითმენს, რომ აღთქმული რეფორმები ვინმემ მოსპოს, ან შესცვალოს. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამაც ესევე გამოუცხადა ბოლგარიას.

ბელგრადი. აქაურ მოქალაქეებმა დეპეშა გაუგზავნეს ხელმწიფე იმპერატორს. დეპეშაში ნათქვამია: „ყოვლად ძლიერი ღმერთი, რომელიც შენცა და შენ იმპერიასაც იცავს და რომელიც საუკუნოების განმავლობაში გამარჯვებას არგუნებს რუსეთს, დაეხმარება შენს იმპერიას და დაამარცხებს მართლმადიდებელ სლავიანთა სახელმწიფოს მტერს. ყველა სლავიანები ევედრებიან ღმერთს, მიენიჭოს გამარჯვება მართლმადიდებელ ხელმწიფეს. უმეტესად გულწრფელია და მხურვალე სერბიის ერის ლოცვა. სლავიანთა მტრებისაგან დაჩაგრული ერი ზეციერ მამას ევედრება დაიფაროს სლავიანების მფარველი“.

ინკოუ („რეიტ. სააგ.“). რადგან იაპონელები პორტ-არტურს თავს დაესხნენ, ადმირალმა ალექსეევმა ბრძანა, რომ ყველა უცხოელები და არა სამხედრო პირები პორტ-არტურიდან წავიდნენ. ღამით პორტ-არტურისა და დალნის მიდამოებს, კვანტუნის ნაპირებს და სხვა ახლო-მახლო ადგილებს არ ანათებენ, რადგან მოსალოდნელია იაპონელების გემების და ჯარისაგან თავ-დასხმა.

ინკოუ („რეიტ. სააგ.“). ინგლისი დაეკითხა ადმირალ ალექსეევს, რა მიზეზია პორტ-არტურში ინგლისის გემების შეჩერებისა და მოსთხოვა მათი განთავისუფლება. ადმირალმა უპასუხა, გემებს შეუძლიათ თავისუფლად წავიდნენო, მხოლოდ დროებით შევაჩერეთ, რადგან მათ მგზავრთა შორის იაპონელებიც იყვნენო.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ელჩს განზრახვა აქვს მიჰმართოს გეის და სთხოვოს ამერიკას, დაეხმაროს და რუსებს განთავისუფლებინოს ის ასი იაპონელი, რომელნიც პორტ-არტურში დააკავეს; ელჩი თხოულობს, რომ ეს იაპონელები ინგლისის გემით გაიგზავნონ ჩიფუში. აქაურ მეზღვაურთა აზრით, იაპონელების დაკავება პორტ-არტურში სამხედრო საჭიროებითაა გამოწვეული, რადგან ამ იაპონელებს ადვილად შეუძლიათ თავიანთ სარდლებს მიაწოდონ ცნობები პორტ-არტურის სიმაგრეების შესახებ.

კოვნო. გუბერნატორის მეუღლის თაოსნობით „წითელ ჯვრის“ ქალთა კომიტეტი აარსებს კურსებს მოწყალების დათა მოსამზადებლად. შემოწირულება გროვდება.

ასტრახანი. გუბერნატორის მეუღლემ გუშინ კონცერტი გამართა „წითელი ჯვრის“ საზოგადოების სასარგებლოდ. შემოვიდა 2955 მან. დამსწრეთა თხოვნით მრავალჯერ განიმეორეს რუსეთის ჰიმნი და „მარსელიეზა“.

იოკოჰამა („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა ორი კრეისერი „ნისინ“-ი და „კასუგა“ დილას იოკოზუკუში, ტოკიოს ნავთ-სადგურში მოვიდნენ.

სეული („რეიტ. სააგ.“) დღეს დილით საფრანგეთის კრეისერი „პასკალ“-ი ჩემულპოდან ჩიფუში წავიდა. კრეისერზე იმყოფებიან რუსეთის ელჩი პავლოვი, მისი ოჯახი და მრავალი რუსი მეზღვაური კრეისერ „ვარიაგ“ და „კორეეც“-იდან. „პასკალ“-ის დროზე წასვლა იაპონელებმა დააგვიანეს.

ჰამბურგი. ამერიკელ-ჰამბურგის საზოგადოების დიდ სატრანსპორტო გემმა „ბატავია“-მ ვლადივოსტოკიდან 1000-ზე მეტი კაცი წაიყვანა.

ბერლინი. გულახდილი და მართალი ცნობები სამხედრო ზარალის შესახებ აქ დიდ თანაგრძნობას იწვევს. რუსების გმირობა და მამაცობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

პეტერბურგი. პეკინში მყოფ რუსეთის ელჩის დეპეშა: „ჩემის მხრით ოფიციალურ შეკითხვაზე ჩინეთის მთავრობამ წერილით შემატყობინა, რომ ნავთ-სადგური ვეი-ჰაი-ვეი წინანდებურად იჯარით ინგლისს აქვს. ალებულიო“. მეორეს მხრით, ლონდონის მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა საიმპერატორო მთავრობას, ჩვენ ამის შესახებ ვეი-ჰაი ვეიში მყოფს ინგლისის მმართველთ შევეკითხეთ და მათ გადაჭრით განაცხადეს, რომ ჩვენ იაპონიის ესკადრის მოძრაობის შესახებ არავითარი ცნობა არ გვქონდა, რადგან იაპონიის ესკადრა ინგლისის მიერ დაქირავებულ ნავთ-სადგურის მახლობლად სრულიად არ გამოჩენილაო. ზემოხსენებულ ცნობებს იმისთვის ვბეჭდავთ, რომ უარვყოთ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ინგლისმა ვეი-ჰაი-ვეი იაპონელებს გადასცაო. —გენერალ მაიორ ფლუგის დეპეშა პორტ-არტურიდან 3 თებერვალს მთავარ შტაბის მიმართ: „პორტ-არტურში ცვლილება არ მომხდარა. ხმა, ვითომ იაპონელებმა ცინვანდაოში ჯარი გადასხეს, სრულიად ტყუილი გამოდგა. ინკოუში ზღვა და დაგუშანსა და იალუს შუა ნაპირები 20 ვერსის მანძილზე მთლად გაყინულია. გამოირკვა, რომ იალუზე ტადუნგოუდან გალუცზამდე იაპონელები არსად არიან. ხმა დადის, გენზანში სურსათისა და საკლავ საქონლის მოსამზადად დიდი მუშაობააო; იქვე პატარა რაზმი გადმოსხესო. იალუს მარცხენა ნაპირზე მზვერავები გაიგზავნა. მცხოვრებთ აღელვება ეტყობათ. ხუნხუზთა მოქმედება ძლიერდება. რადგან ჩინელები რკინის გზაზე მუშაობას თავს ანებებენ და სურსათისა და საკლავ საქონლის გაყიდვაზე უარს ამბობენ, ამიტომ ვფიქრობთ, ჩინელების ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების მოქმედებას სასტიკი თვალ-ყური ვადევნოთ“.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან*)

პორტ-არტური. გენერალი ფლუგი დეპეშით იტყობინება: „ცვლილება არაფერი მომხდარა; ცნობა—ვითომც იაპონელები ცინვანდაოს ნაპირზე გადავიდნენ, მართალი არ გამოდგა: ინკოუსთან ზღვა 20 ვერსის მანძილზე გაყინულია და ჯარების გადასხმა არ უნდა იყოს შესაძლებელი. დადუნგოუდან გალუცამდე იაპონელები არა სჩანან. გენზანში დიდის ენერგიით ამზადებენ საქონლის საკვებს. იალუს მარცხენა ნაპირზე რაზმი გადაიყვანეს და მზვერავებიც გაგზავნილია. მცხოვრებთა შორის მღელვარებაა; ხუნხუზების მოქმედება გაძლიერდა; ჩინელები რკინის გზაზე მუშაობას თავს ანებებენ და სურსათ-სანოვაგის გაყიდვაზე უარს ამბობენ. განზრახვა არის თვალ-ყური ადევნონ ჩინეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების მოქმედებას“.

ლონდონი. გამოცხადდა „ლურჯი წიგნი“ მანჯურიის საქმეების შესახებ. როგორც ამ წიგნის საბუთებიდან სჩანს, ინგლისი, შეერთებული შტატები და იაპონია სამის წლის განმავლობაში სცდილან აეძულებინათ ჩინეთი რუსეთის პლანების წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ბერლინი. აქ ეჭვის თვალით უცქერიან ჩინეთის მოქმედებას. ეშინიათ მღელვარება არ დაიწყოს.

ლონდონი. გაზეთ „მორნინგ ლიდერ“-ს ტიანძინიდან ატყობინებენ, რომ კვირას იქ ხმა დადიოდა იაპონელების მძიმე დამარცხებაზე დალნისთან. —ვეი-ჰაი-ვეიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ შაბათს იაპონელების ორი ჯავშნიანი გემი და ოთხი კრეისერი გერმანიის გემთან ერთად აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ; გერმანიის გემი ჩიფუს მიდის.

ტოკიო. ვლადივასტოკის ესკადრა პარასკევს სუნგარუს სრუტეს დასავლეთით იყო იეზოსა და ნიპონის შუა.

ლონდონი. გაზეთი „ტაიმს“-ი იტყობინება, რომ ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლაში კრეისერ „ვარიაგ“-ის უფროსი დასჭრეს მარცხენა ხელში. გაზეთ „სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან, რომ ვლადივასტოკის ესკადრამ პარასკევს ყუმბარები დაუშინა მაცუმაის, რომელიც იეზოს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზეა.

ბერლინი. გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ“-ი ამბობს: ზოგიერთები სცდილობენ ეჭვი აღძრან გერმანიის ნეიტრალიტეტის შესახებ; გერმანიის პოლიტიკისთვის ორპირობის დაწამება უსაფუძვლოა. გერმანიის იმპერიას განზრახვა აქვს დაიცვას ნეიტრალიტეტი მით უმეტეს, რომ ორივე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანერთს არ ეწინააღმდეგებიან.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდან, რომ სულთანმა რუსეთის ელჩი აუდიენციაში მიიღო; ამის შემდეგ გამოცხადდა სულთანის ირადე, რომლითაც იმპერიის მაჰმადიანთ აეკრძალათ საჯაროთ სიხარულის გამოცხადება იაპონელების გამარჯვების გამო.

პეტერბურგი. კრონშტადტის ნავთ-სადგურის მთავარი უფროსი მაკაროვი შორეულ-აღმოსავლეთს მიდის.

„ოხოტსკო-კამის ამხანაგობას“ აგენტებმა შეატყობინეს იოკაგამიდან, იაპონელებმა ამხანაგობის გემი დააპატიმრესო ერთი კვირით ადრე, ვიდრე გავიდოდა ვადა, რომელიც იაპონიის მთავრობამ დაჰნიშნა რუსეთის გემების წასასვლელადაო. ხსენებულმა მთავრობამ საფრანგეთის კონსულის შემწეობით პროტესტი განაცხადა. ამხანაგობას შიში აქვს, მეორე გემიც არ დააპატიმრონო, რომელიც ხაკოდატეს არის შესაკეთებლად.

სოფია. რადგან დიდ-ძალმა ბოლგარელმა განაცხადა სურვილი შორეულ აღმოსავლეთში ვოლონტერად წასვლისა, პრეზიდენტი პეტროვი დეპეშით შეეკითხა რუსეთის მთავრობას, როგორ მოვიქცეთო.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 თებერვალი

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სურვილის თანახმად დაარსებულ დაჭრილთათვის საჭირო მასალების საწყობის უფროსი იუწყება, ძალიან საჭიროა ტყავის ზედა ტანსაცმელი, ფუფაიკები, თბილი ქუდები, ყაბალახები, შოკოლადი, შაქარი, თუთუნი და საპონი. საჭიროა აგრეთვე კარავები და დასაკეცი საწოლები.—გერმანიის ელჩმა საიმპერატორო მთავრობას შეატყობინა, რომ იმპერიის კანცლერმა რუსეთისა და იაპონიის ომის გამო 31 იანვარს გამოსცა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, გერმანიაში, გერმანიის საპროტექტორატოში და საზღვარ გარედ მყოფ გერმანიის ყველა ქვეშევრდომმა თავი უნდა შეიკავოს ყველა იმ მოქმედებისაგან, რომელიც გერმანიის ნეიტრალიტეტს ეწინააღმდეგებაო.—საიმპერატორო მთავრობამ მიიღო ინგლისის მთავრობის განცხადების ტექსტი 11 თებერვ. 1904 წლისა და დანიის სამინისტროს ნოტა, რომლებშიაც ორივე სახელმწიფო აცხადებს, ეხლანდელ ომში მტკიცე ნეიტრალიტეტს დავიცავთო.

ბერლინი. შვეიცარიის საკავშირო საბჭომ გადასწყვიტა, რუსეთისა და იაპონიის ჯარებში ორ-ორი აფიცერი გავგზავნოთო. ამ აფიცრების გაგზავნაზე რუსეთმა თანხმობა გამოაცხადა, თანახმად ბერნში მყოფ რუსეთის ელჩის შუამდგომლობისა, და იაპონიამ ვენაში მყოფ თავის ელჩის შუამდგომლობისა.

ვაშინგტონი. ავსტრო-ჰუნგრეთი და პორტუგალია გეის ნოტას პრინციპიალურად დაეთანხმნენ. რომელ სახელმწიფოსაც კი ნოტა წარუდგინეს, ყველასაგან, გარდა რუსეთისა, პასუხი მოვიდა.

მოსკოვი. 3 თებერვალს მოსკოვის თავად-აზნაურობამ სანიტარულ რაზმის შესადგენად და ჯარისა და ფლოტის საჭიროებისათვის 200.000 მანეთი გადასდო. ნამესტნიკს დეპეშა გაუგზავნეს, მოსკოვის თავად-აზნაურობა სცდილობს რუსეთის ყველა თავად-აზნაურნი შეაერთოს სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადაო.

პრაგა. საქალაქო საბჭომ დაადგინა ერთხმად, გამოუცხადოს პეტერბურგის მცხოვრებთ თანაგრძნობა და უსურვოს რუსეთს გამარჯვება.

ბელგრადი. მთელს სერბიაში პარაკლისებს იხდიან რუსეთის გამარჯვებისათვის.

ვენა. გუშინდელს და დღევანდელს ბირჟაზე გავრცელებული ხმა, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთი საომრად ემზადებოდეს, ნამდვილი ტყუილია.

პორტ-არტური. პორტ-არტურთან ბრძოლის შემდეგ იაპონიის ესკადრამ დაიწია სამხრეთით ჩემულპოსაკენ ესკადრას სამი გემი დაუზიანეს.

გენზანში 60 ათასი ჯარის-კაცია შეკრებილი, ეს ჯარი მანჯურიას უნდა წავიდეს. კიდევ მოდის ჯარი. მობილიზაცია მშვენივრად სწარმოებს. ციხე არტური, სადაც სო-

---

*) ამ სააგენტოს დეპეშების გადაბეჭდვა 24 საათის განმავლობაში აკრძალულია. რედ.

ფელეტონი

იაპონია

II*)

მხედრობა და ფლოტი იაპონიისა

დიდად შეურაცხჰყო ახალგაზდა იაპონიის ეროვნული თავმოყვარეობა იმ გარემოებამ, რომ ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები საქმეში ჩაერივნენ და ძლევა-მოსილს იაპონიას ნება არ მისცეს გამარჯვებით სავსებით ესარგებლა, ყველა თავისი განზრახვა შეესრულებინა. ამიტომაც ერთხმად გადასწყვიტეს მთავრობამა და საზოგადოებამ, უკეთ შეიარაღებულიყვნენ, ეროვნული ინტერესები და ღირსება მტკიცედ დაეცვათ.

კანონ-პროექტში, რომელიც მთავრობამ წარუდგინა პარლამენტს, ნათქვამი იყო, რომ იაპონიისთვის აუცილებლად საჭიროა ძლიერი ფლოტი და მხედრობა, რომლებმაც იგი პირველხარისხოვან საზღვაო სახელმწიფოდ უნდა გარდაჰქმნან და ნაპირები გაუმაგრონ. ოპოზიციის მთავრობამ ამაზე მტკიცედ დასახული პოლიტიკური მოსაზრებანი წარუდგინა: 1) მოეპოვებინათ საჭირო თავისუფალი ადგილები, რომ უმიწა-წყლო გაჭირვებულ მცხოვრებთათვის ცხოვრების სალსარი და ბინა გაეჩინათ და 2) ქვეყნის ნაწარმოებისთვის სარფიანი ბაზარი სადმე გაეხსნათ. გარდა ამისა, ყურადღება იყო მიქცეული აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ დღითი-დღე ევროპელი სახელმწიფონი თან-და-თან მეტად იკიდებენ ფეხს შორეულ-აღმოსავლეთში, რომელთა ინტერესებიც ხშირად იაპონიისას სრულიად ეწინააღმდეგება. მოხსენებული იყო მასთან, იაპონელებით მრავლად დასახლებულს ჩინეთსა, კორეასა, ფორმოზასა, გავაიისა და ფილიპეს კუნძულებზე იაპონიას დანიშნულება აქვს, ან ამერიკასა და ავსტრალიაში გადასახლებულთა წინააღმდეგ რა სასტიკი და სამარცხვინო ღონისძიებანი აქვთ მიღებული და რითი შეიძლებოდა ამ საქმეს ჰშველებოდა. მთავრობის მიერ წარდგენილი აზრი და კანონ-პროექტი ისე ყოველმხრივ დასაბუთებული გამოდგა, რომ აუცილებლობა და საჭიროება მისის განხორციელებისა პარლამენტმა დიდის ხმის უმეტესობით აღიარა. გადასწყვიტეს ჩინეთისაგან მიღებულ სომარ საზღაურის უმეტესი ნაწილი ფლოტისა და ხმელეთის მხედრობის გაძლიერებისა და ნაპირების გამაგრებისათვის მოენდომებინათ.

შეიარაღებულ ძალთა გასაძლიერებლად იაპონიამ მხედრობისა და ფლოტის რეორგანიზაცია დაიწყო. მაგრამ რაკი შეუძლებელი იყო მთლად იაპონიის გრძელი ნაპირეზი გაემაგრებინა, გადასწყვიტა გამაგრების გეგმას მოძრავი, აქტიური ხასიათი ჰქონოდა. ქვეყნის დასაცველად ამ რიგად ჯერ ერთი ფლოტი ჰყავს, რომელსაც სულ რამდენიმე გამაგრებული ადგილი აქვს, და მეორე, მხედრობა, რომელსაც საჭიროების-და მიხედვით იაპონია თავისს სტრატეგიულის რკინის გზებით სასწრაფოდა და უცბად გადიყვანს, სადაც-კი მოისურვებს; რაც შეეხება სიმაგრეებსა და ციხეებს, ესენი მხოლოდ უაღრეს მნიშვნელობის სტრატეგიულს ადგილებში აქვს აგებული. ამ რიგად იაპონიის მთლად შეიარაღებულს ძალას შეადგენს: ხმელეთის მხედრობა, ფლოტი, საზღვაო დაწესებულებანი, რკინის გზები და ნაპირის ციხე-სიმაგრენი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამხედრო და საზღვაო რეფორმა იაპონიამ მხოლოდ 1896 წელს მიიღო და ახლაც ერთთავად დიდს მზადებაშია, რადგან საზღვაო რეფორმის საბოლოო ვადათ 1906 წელი იყო დანიშნული, სამხედროსათვის-კი უფრო ადრე და თითქმის მთლად შესრულებულია.

ხმელეთის მხედრობა იაპონიას გერმანიის მხედრობის მსგავსადა ჰყავს შედგენილი: 1, სამუდამო მხედრობისა, 2, რეზერვისა, 3. სახმელეთო მხედრობისა და 4, ეროვნულ მხედრობისაგან, რომელიც გერმანიის ლანდშტურმს წააგავს.

სამსახურის ვადათ სამუდამო მხედრობაში სამი წელიწადია, რომლის შემდეგაც ჯარის კაცი ოთხს წელიწადს რეზერვში ითვლება და ხუთს წელიწადს სახმელეთო მხედრობაში. ყველა, ვინც-კი ოდესმე სამხედრო სამსახურში ყოფილა, 45 წლამდე ეროვნულ მხედრობის სიაში ირიცხება. ადმინისტრატიულად 1895 წლამდე იაპონია 7 სამხედრო ოლქათ გაიყოფოდა, სამხედრო რეფორმის შემდგომ-კი მათმა რიცხვმა ერთი ორად იმატა.

1895 წლამდე სამუდამო მხედრობას 7 დივიზია შეადგენდა: ერთი გვარდიისა და 6 პროვინციისა; ახლა-კი ერთი-ორად მეტი, ე. ი. 12 დივიზია ჰყავთ. იაპონიის მხედრობის დივიზია 4 ქვეითა რაზმისაგან შესდგება, 3 ბატალიონისაგან (გვარდიის რაზმი 2 ბატალიონისაგან), ერთის ცხენოსან რაზმისა, ერთის საინჟინერო ჯარის ბატალიონისა და 36 ზარბაზნისაგან. თითოეულს სამხედრო ოლქს თითო დივიზია ჰყავს. დივიზიების საშტაბო ბინები ასე არიან სამხედრო ოლქების შუა-გულ განაწილებულნი: ქ. ტოკიოში იმყოფება საშტაბო ბინა გვარდიისა და პირველის პროვინციალურ დივიზიისა; ქ. სენდაიში—2 დივიზიისა, ქ. ნაგოიაში—მე-3 დივიზიისა; ქ. ოსაკაში მე-4 დივიზიისა; ქ. ხიროშიმაში—მე-5 დივიზიისა და ქ. კუმომატოში—მე-6 დივიზიისა.

ექვსი ახალი დივიზია ჯერ-ჯერობით ძველს სამხედრო ნაწილებში იქნებიან დაბინავებულნი. ახალის სამხედრო ოლქების ცენტრებათ დანიშნულნი არიან: ქ. კოკურა (კუნძულ კი-შიუზე), ქ. საპპორო (იეზოზე), ქ.ქ. ხირომაიე, კანაზავა, ფუკუშიამი (ყველანი კუნძ. ნიპპონზე), და ქ. მარუკამე (კუნძ. შიკონზე).

სამუდამო მხედრობაში რეფორმამდე სულ 346,000 ჯარის-კაცი ირიცხებოდა: სამუდამო—66,000, რეზერვი—90,000, სახმელეთო—190,000. დივიზიებში ასე იყვნენ დანაწილებულნი: გვარდიის დივიზიაში 8,000 კაცი ითვლებოდა; 1 დივიზიაში—9,200; 2, 3, 4 და მე-5-ში თითოში 8,200 კაცი; მე-6-ში—5,000; საახალშენო ჯარებისა (იეზოსა, კურილისა და ლიკეის კუნძულებზე)—4,000 კაცი და ჟანდარმერია 1,100 კაცი.

იარაღის მიხედვით დაიყოფოდნენ; ქვეითა მხედრობათ—50,000 კაცი, ცხენოსანათ—2,600 კაცი, არტილერიათ—6,200 კაცი, საინჟინერო ჯარათ—2,600 კაცი, კომისარიატათ—2,400, ჟანდარმებათ—1,000 და არა სამხედროთ—500 კაცი.

სამხედრო რეფორმით უნდა გაძლიერებულიყო: სამუდამო მხედრობა—120,000-მდე, რეზერვი—170,000-მდე და სახმელეთო—200,000-მდე. სულ ეყოლებოდათ 490,000 კაცი. ეროვნული მხედრობა-კი სათვალავში არა ჰყავთ, რადგან არ იციან, რამდენად იქმნებიან გაწვრთნილნი და შეიარაღებულნი.

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2394.

მარი წესებია შემოღებული, მზად არის რუსეთის მიუდგომელ ბურჯად გახდეს. კომენდანტმა სტესელმა მცხოვრებთა დასამშვიდებლად განცხადება გამოსცა.

ნამესტნიკის ბრძანება: „სახელოვანო ჯარო და ფლოტო, უმაღლესად ჩემდამი მონდობილო. ამ ჟამად, როდესაც ჩვენი თაყვანსაცემი მეფე, მთელი რუსეთი და თვით მთელი ქვეყნიერობა ჩვენ გვიცქერის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გვაწევს წმინდა მოვალეობა, ხელმწიფისა და სამშობლოსათვის თავი დავდოთ. რუსეთი დიდია და ძლიერი და თუ ჩვენი მტერი მძლავრია, ამან უფრო უნდა გაგვამხნეოს და ძალა გაგვიორკეცოს მტერთან საბრძოლველად. დიადია სული რუსის ჯარის-კაცისა და მეზღვაურისა. ბევრი სახელოვანი გმირი ახსოვს ჩვენს ჯარსა და ფლოტს. ამ გმირების მაგალითი უნდა გვახსოვდეს ამ დიდებულს დროს. უფალი ღმერთი რუსეთისა ყოველთვის იცავს მართალს საქმეს და ახლაც დაიცავს. მაშ შევერთდეთ ბრძოლისათვის. ყოველი თქვენგანი დინჯად იყოს, რათა საუკეთესოდ აასრულოს თავისი მოვალეობა; გქონდეთ იმედი უზენაესის, დახმარებისა და თქვენი საქმე შეასრულეთ. გახსოვდეთ, გახსოვდეთ, რომ ღმერთთან ლოცვა და ხელმწიფესთან სამსახური არ დაგეკარგებათ. გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს, გაუმარჯოს რუსეთს,—ჩვენთან არს ღმერთი. ურა!“

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)·

4 თებერვალი

ბლაგოვეშჩენსკი. ციციკარიდან დეპეშით იტყობინებიან: მშვიდობიანობა ჰსუფევს; მანჯურიისა და მონგოლიის გუბერნატორებს ჩინეთის იმპერატორის ბრძანება გაეგზავნათ ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

ლონდონი. გაზეთ „დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ნაგასაკიდან, მომავალ კვირაში 100,000 იაპონელი ჯარის-კაცი კორეიაში გაიგზავნებაო.—გაზეთ „ნიუ-იორკ ჰეალდ“-ი იტყობინება, კორეის იმპერატორმა კორეიაში მოსულ იაპონიის ჯარებს საჩუქრები გაუგზავნაო.—გაზეთ „სტანდარტ“-ს ტიან-ძინიდან ატყობინებენ, იალუს ახლო რუსებსა და იაპონელებს ბრძოლა ჰქონდაო.—ბრიუსელიდან იტყობინებიან, რუსეთის მთავრობამ რამდენიმე დიდი სტრანსპორტო გემი შეიძინა ანტვერპენშიო.—გაზეთ „დეილი ტელეგრაფ“-ს შანჰაიდან ატყობინებენ იაპონიის ფლოტი ჩაუსაფრდა და უცდის სუეციდან მომავალს რუსეთის ესკადრასაო.

ტოკიო. 20.000 რუსის-ჯარის კაცი კორეიაში მოვიდა.

ლონდონი. გაზეთ „დეილ მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდან, რუსეთის კანონერკა „სივუჩი“ ყინულმა შეაჩერა. გემის უფროსმა ადმირალ სტარკს ნება-რთვა სთხოვა, თუ ვინიცობაა იაპონელები ახლოს გამოვიდნენ, გემს ავაფეთქებო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონელ აფიცრის სამხედრო ხერხი. იაპონიის კონსულს ჩიფუში (ჩინეთშია, ვეიჰავეისა და პორტ-არტურის ახლო) უამბნია „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის თანამშრომლისათვის: „23 იანვარს გავიგე, რომ ჩვენს ელჩს კურინოს პეტერბურგში ბძანება გაუგზავნეს, რუსეთთან მოლაპარაკება შესწყვიტე და შინ დაბრუნდიო. მაშინვე ერთი ინგლისელი გემი დავიქირავე და პორტ-არტურსა და დალნიში გავსწიე იქაურ იაპონელების წამოსაყვანად. რუსის მოხელეებმაც დახმარება გამიწიეს; რამდენმამე უმაღლესმა მოხელემ სადილადაც კი მიმიწვია. თან ერთი უმაღლესი იაპონელი მეზღვაური აფიცერი გამომყვა მოსამსახურის ტანისამოსით. პორტ-არტურში აფიცერმა ლამაზად, ზედ-მიწევნით გაიგო, სად და როგორ იდგნენ რუსის გემები, შეიტყო ისიც, რომ რუსის ესკადრა არხეინად იდგა და დაცემას სრულებით არ ელოდა. დალნიდან რომ გაველით, პორტ-არტურიდან 18 მილის მანძილზე იაპონიის ესკადრა დავინახეთ. აფიცერმა სამხედრო ნიშანი მისცა. ჩვენმა ესკადრამ ნავი გამოგზავნა და აფიცერი ადმირალ ტოგოსთან წაიყვანა. აფიცერმა ყველაფერი, რაც კი ნახა, დაწვრილებით უამბო ტოგოს“.

ბრძოლა პორტ-არტურთან. ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: „ბრძოლა პორტ-არტურთან ჩემის თვალით ვნახე. 25 იანვარს საღამოს ინგლისელ გემ „კოლუმბიაზე“ ვიყავ, პორტ-არტურის ნავთსადგურსა და რუსის ფლოტს შუა. რუსის ესკადრა არხეინად იდგა. სამი ნაღმიანი გემი მორიგეობდა. რეფრაკტორი მხოლოდ ერთად-ერთს გემს ჰქონდა. ერთმა რუსმა გვითხრა, იპონიის ფლოტი სამ-ოთხ დღის შემდეგ მოვა აქაო. საღამოს 8 საათზე რუსის მეზღვაურებმა ილოცეს და ტკბილის ძილით დაიძინეს, სრული სიჩუმე დადგა. ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე დავწექ, მაგრამ სანთელი გავაქრე თუ არა, მაშინვე საშინელმა ხმაურობამ წამომახტუნა. მალე ზარბაზნების სროლა ასტყდა და ღამის 3 საათამდე გასტანა. 3 საათს 20 წამი აკლდა, რომ ჩვენ გემზე რუსის აფიცრები მოვიდნენ და ადმირალ ალექსეევის სახელით ჩვენს კაპიტანს ანდერსენს წასვლა აუკრძალეს. რუსებს ეშინოდათ, ვაი თუ კაპიტანმა იაპონელებს რუსის ესკადრის ზარალი შეატყობინოსო. მაგრამ ჩვენ არაფერიც არ ვიცოდით. მხოლოდ რუსის აფიცრებისაგან გავიგეთ, რომ რუსის ფლოტს იაპონელები დასცემოდნენ. მეორე დილას იაპონიის ესკადრა სამის მილის მანძილზე მოუახლოვდა რუსისას და ზარბაზნები დაუშინა. სროლამ ნახევარ საათს გასტანა. იაპონიის ესკადრა ისევ უვნებლივ დაბრუნდა და სამხრეთისაკენ გაემართა, მაგრამ პორტ-არტურს მაინც არ მოჰშორდა. სამშაბათს, 27 იანვარს, იაპონიის სამი კრეისერი ისევ მოუახლოვდა პორტ-არტურს. რუსის ესკადრა მაშინვე გამოუდგა, მაგრამ ნახევარ საათის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა; ალბად ადმირალ ტოგოს ესკადრისა შეეშინდა“.

ბრძოლის ველზე. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება: „29 იანვარი. იაპონიის ჯარი ჩემულპოდან სეულისაკენ მიდის. იაპონიის ერთმა რაზმმა ქალაქი დაიჭირა და წესიერებას იცავს, დანარჩენმა ჯარმა კი ქალაქის ახლო დაიბანაკა“. დეპეშებიდან ვიცით, რომ იაპონიის მოწინავე რაზმები მდინარე იალუს მიუახლოვდნენ. რუსის ჯარიც იალუზეა შეკრებილი და, ალბად, პირველი დიდი შეტაკება ხმელეთზე აქ, ამ მდინარის ნაპირას, ჩრდილოეთ კორეიაში მოხდება. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: „29 იანვარი. იაპონიის ელჩმა ბარონმა გაიაშიმ სთქვა: ამ დღეებში მდინარე იალუს ნაპირას დიდი შეტაკება მოხდებაო“. როგორც სჩანს, იაპონიის ფლოტმა რუსის ფლოტს ხელი დაჰრია, დააშინა და იაპონიის ჯარი დაუბრკოლებლივ გადადის სამხრეთ და შუა კორეიაში. მთელი კორეია ვიდრე მდინარე იალუმდე ეხლა იაპონელებს უჭირავთ. როგორც ვიცით, იაპონელებმა რუსეთის ელჩი ბ-ნი პავლოვი დიდის ამბითა და პატივით გამოისტუმრეს სეულიდან.

ცხადია, რუსის ფლოტმა იაპონელებს ჯარის გადმოყვანა სრულებით ვერ დაუშალა და ვერც დაუშლის, სანამ ახალ გემებს არ მიუმატებენ. მართალია შორეულ აღმოსავლეთს ძლიერი რუსის ესკადრა მიდის, მაგრამ ეს ესკადრია, როგორც „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებს, ჯერ შორსაა ბრძოლის ველიდან, ჯერ ინდოეთის ოკეანეშიაც არ შესულა. იაპონიის ფლოტს კი ეხლა იტალიაში ნაყიდი კრეისერები „ნისინი“ და „კასუგა“-ც მიეშველებიან. ინგლისური გაზეთები იუწყებიან: „ნისინი“ და „კასუგა“ პირდაპირ ჩემულპოში წავლენო.

იქნება იაპონელები კორეიას აღარ დასჯერდნენ და ჯარი პირდაპირ კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე, პორტ-არტურს ახლოც გადაიყვანონ. მართალია დეპეშებს ამბავი მოაქვს, იაპონელები ვერ ახერხებენ პორტ-არტურთანა და დალნისთან ჯარის გადმოყვანასაო, მაგრამ რაც დღეს ვერ მოახერხეს, შეიძლება, ხვალ მოახერხონ.

რუსული გაზ. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს: „ამ მომავალ ორ-სამ კვირაში მაინც, ვიდრე ჩვენ დაზიანებულ გემებს არ შეაკეთებენ, ჩვენი ფლოტი ყვითელ ზღვაში (პორტ-არტურსა და კორეიას შუა) ვერაფერ ყოფაში იქნება. ეხლა იაპონელ ადმირალ ტოგოს ესკადრა ბატონობს ამ ზღვაში. ტოგოს ჰყავს: 6 ჯავშნიანი გემი, 5 ჯავშნიანი კრეისერი და 4 პირველ რანგის კრეისერი. (ამ კრეისერებს ბანიც ჯავშნიანი აქვთ). ჩვენი პორტ-არტურის ესკადრა ვიცე ადმირალ სტარკის მეთაურობით ვერაფერს გახდება ტოგოსთან. იაპონელებს შეუძლიანთ ჯარი კორეის გარდა, პორტ-არტურის ახლოც გადაიყვანონ ხმელეთზე. მართალია ჩვენ ვლადივოსტოკშიაც გვყავს ესკადრა, მაგრამ ამ ესკადრის შეერთება პორტ-არტურის ესკადრასთან მეტად ძნელი საქმეა.—ვლადივოსტოკის ესკადრა ოთხის საუკეთესო კრეისერისაგან შესდგება, უფროსად კონტრ-ადმირალი შტაკელბერგი ჰყავს.—ამ ესკადრამ რომ პორტ-არტურს წასვლა მოინდომოს და გინდ პორტ-არტურის ესკადრას შეუერთდეს კიდევაც, ადმირალი ტოგო მაინც აჯობებს ორსავ ჩვენს ესკადრას, რადგან იაპონელ ადმირალს მეტი ზარბაზანი აქვს.

ამიტომ, არა გვგონია, რომ ჩვენი ვლადივოსტოკის ესკადრა პორტ-არტურის ესკადრასთან შესაერთებლად წავიდეს. უფრო ჭკუას ახლო იქნება, რომ კონტრ-ადმირალ შტაკელბერგი ვლადივოსტოკიდან გავიდეს და ჩრდილოეთ-იაპონიის ნაპირებზე თარეშობა დაიწყოს“.

დეპეშებიდან ვიცით, რომ რუსის ესკადრა ვლადივოსტოკიდან ჩრდილოეთ-იაპონიის ნაპირებისაკენ წასულა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ ესკადრის დასახვედრად ერთი იაპონელი ადმირალი წასულა. თუ ეს ესკადრაც დაამარცხეს, მაშინ იაპონელები უფრო თამამად მოიქცევიან და თავიანთ ჯარს, სადაც უნდა იქ გადაიყვანენ.“

„იაპონელებს სიცივისა არ ეშინიანთ“. ბევრს იმედი აქვს, იაპონელი ჯარი ხმელეთზე რუსის ჯართან ვერას გახდება, სხვა არა იყოს რა, იაპონელები სიცივეს ვერ იტანენ და ამ ზამთარში სულ ერთიანად გასწყდებიან მანჯურიაშიო. ამის თაობაზე იაპონიის კონსულს ოდესაში „ოდესკი ნოვოსტი“-ს თანამშრომლისათვის უთქვამს: „ეგ შემცდარი

იაპონიის მხედრობა 3 და 1 ლინიან მურატის მაგაზინის თოფებით არიან შეიარაღებულნი. თოფში იდება 8 პატრონა; ტყვიაწამლის სიმძიმე ჩვენის 3 ლინიან მაგაზინკისაზე (5 პატრონიან) ცოტა მეტია; ცოტა ჩვენისაზე შორსაც მიდის. ზარბაზნებსა, თოფებსა და პატრონებს საკუთარს თოფხანებში ამზადებენ ტოკიოსა, ოსაკასა და კურეში.

ნაპირების დაცვა სამხედრო სამინისტროსა აქვს მინდობილი, რომელმაც შეადგინა სანაღმო როტები, შეიმუშავა უმთავრეს პორტების სანაღმო გემები, დააწესა სანაპირო სამაფორების (ტელეგრაფის მაგვარი სანიშნებელი მოწყობილობაა) ქსელი, ასწავლა ჯარს სემაფორებით ნიშნება, ვაგონებში სწრაფად ჯარის ჩასხმა-გადმოსხმა და ზარბაზნებითა, ცხენებითა და ბარგის ურმებით დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხ. რკინის გზებიც სულ ისეა მოწყობილი, რომ ჯარების გადაყვან-გადმოყვანა სასწრაფოდ შეიძლებოდეს. რკინის გზას შეუძლიან დღეღამეში 18 წყვილი სამხედრო მატარებელი ამუშაოს და ამითი ნაპირების დაცვისა და გამაგრების საქმე შესანიშნავის სისწრაფით მოაწყოს. ისეა მოწყობილი და დაქსელილი იაპონია რკინის გზით, რომ ყველა სანაპირო სიმაგრე და შუაგული სამხედრო ოლქი უთუოდ ერთმანერთთან შეერთებულია. იაპონიის კუნძულების მთელს სიგრძეზე მთავარი რკინის გზაა გაყვანილი, იწყება ქ. ოტარუდან კუნძ. იეზოზე, გაივლის მთელს კუნძულს ნიპპონსა და ქ. ნაგასაკსა და კუმამოტაში ჩავა (კიუ-შიუს კუნძულზე). მთელს ამ სიგრძეზე მხოლოდ ორის ვიწრო, სანგარისა და სიმონოსეკის, სრუტეთია გაწყვეტილი. მთავარ ლიანდაგიდან მერმე ჩრდილოეთითა და სამხრეთით მიდის მრავალი დამატებითი რკინის გზის შტო, რომლებიც ყველა სამხედრო (საენსა, იოკოსკასა, მაიძურუსა, ნაკასენდისა, იოკაიჩისა) და სავაჭრო (ნიიგატისა, ნადეტსუსი, მიტოსი, სორატჩისა, (იეზოზეა ქვა-ნახშირის რაიონში) მნიშვნელობის ადგილებთან არიან შეერთებულნი. ნიპპონის კუნძულზე მთავარი რკინის გზა ქ. აომოროში იწყება და სიმონოსეკამდე მიდის. ამ რიგად იგი აერთებს სენდაის, ტოკიოს, იოკოჰამას, იოკოსკას, კობეს, ოსაკას, კიოტოს, ნაგოიას, ხიროშიმასა და სიმონოსეკს.

ყველა სამხედრო თუ სავაჭრო მნიშვნელობის და სხვა ქალაქები ერთმანეთთან უთუოდ ტელეგრაფით შეერთებულნი არიან. ასევე შეერთებულნი არიან კორეასთან, კურილის კუნძულებთან (ჩიშიმატი, ფორმოზა და ტსუსიმა იაპონიასთან კაბელით არიან შეერთებულნი).

სანაპირო ქალაქებიდან გამაგრებულნი არიან შემდგომნი: 1) იეზოს კუნძულზე ქ. მურორანი, სანგარის სრუტეს აღმოსავლეთ შესავალში და ქ. ხაკადოტე.

2) ნიპპონის კუნძულზე: სახელმწიფოს სატახტო ქ. ტოკიო, პორტი იოკოსკა, შესავლები და ნაპირი ტოკიოს ყურესი, ქ. ტობანა, ნაპირი owargbau, ქ. მაიძურუ, აღმოსავლეთი შესავალ იაპონიის ხმელთა-შუა ზღვაში, პორტი კურო და დასავლეთის მხარე აღნიშნულის ზღვისა, სიმონოსეკის სრუტე, Bungo chaunel (შიკოკუსა და კიუ-შიუს კუნძულებს შუა), ქ. ტსურუგა და სიმაგრე ფუშიმა (ტოკიოდან ჩრდილოეთით).

3) კიუ-შიუს კუნძულზე: პორტი სასებო და ქალაქები—ნაგასაკი, კაგოსიმა.

4) ტსუსიმას კუნძულზე: კუნძულის ჩრდილო და სამხრეთ მხარის შესავლები სრუტეში და პოსადნიკის ყურე.

გემების შენებისა და მაშინების საქმეც ისე მოაწყეს ამ ბოლოს დროს, რომ არამც თუ თვითონ შეუძლიანთ თავიანთთვის დამზადება, მალე უთუოდ ევროპის სახელმწიფოებსაც გაუწევენ ძლიერს მეტოქეობასა და შეიძლებენ სხვებისაგანაც მიიღონ გემების საშენებლად შეკვეთა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დღესაც პატარა ზომის გემების შენება ადგილობრივ გაცილებით იაფად ჯდება, ვიდრე ინგლისში.

როგორც დოქტორის ედგარის მიერ ლონდონის „იაპონურ საზოგადოებაში“ 1895 წელს წაკითხულ ლექციიდანა სჩანს, ყველა იაპონელი მეგემე ხელოსნები საშინლად დაკვირვებული ოსტატები, წმინდად მომუშავე, ევროპიელზე გაცილებით მიხვედრილი, ერთგული და პირნათელი მუშები თურმე არიან, მასთან დიდად კეთილ-სინიდისიერნი და მცირედის ჯამაგირით კმაყოფილნი.

ამიტომაც საკვირველი არა არის-რა, თუ ამ 30 წლის განმავლობაში გემების შენების საქმემ ასეთის სისწრაფით წინ წაიწია იაპონიაში და შესანიშნავი გამარჯვებაც დაიმკვიდრა. 25 წლის წინად-კი სასტიკად იყო ნაბრძანები, არავის ამომავალ მზის ქვეყანაში შორეულ მოგზაურობისათვის დიდი გემი არ აეშენებინა. ზომა მაშინდელის გემებისა 500 „კოკა“-ზე მეტის წყალ-წყვისა (водоизмѣщеніе) არ უნდა ყოფილიყო, რაიცა შეადგენს სულ 76 ტონს. ამასთან, ერთის ანძის მეტი არაფრის გულისათვის არ უნდა ჰქონოდათ. ამისი მიზეზი იყო, რომ გემების შენებასა და იაპონელთა სავაჭრო დამოკიდებულებას სავსებით ბოლო მოეღო და იაპონია დაქვეითდა. ასე იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, როცა იაპონიამ უცბად თავი დააღწია სალათას ძილსა, შეიბერტყა და ახალს ცხოვრებას ფხიზლად და ცოცხლად წინ შეეგება. დაუდეს თუ არა პირველი ხელშეკრულებანი ევროპიელებს, იაპონელები მაშინვე გამოერკვნენ და პირველი ხის გემები ზოგიერთმა ფეოდალმა პრინცებმა შეუკვეთეს. ურიგო არ იქმნება შევნიშნოთ აქვე, რომ პირველად ევროპიულ იალქნიანი გემებით ცურვა იაპონელებს ჩვენმა თანამემამულეებმა: ლეიტენანტმა ფონ შმიდტმა (ახლა ადმირალია) და ექვსმა ნაცადმა ზღვაოსანმა ასწავლეს, რომლებიც ადმირალმა პოპოვმა გააყოლა ესკადრიდან ნაგასაკიდან იოკოჰამაში მიმავალს მთავრობის პირველს იალქნიანს ნავს, რომელზედაც იაპონიის ზღვაოსნები ისხდნენ.

ამ დროდან დაედო საფუძველი იაპონიის სამხედრო ფლოტსა და შესანიშნავის სისწრაფითაც დაიწყო ზრდა, რაიცა, ეჭვი არ არის, ბუნებრივათა და შესაბამათ უნდა იქმნას ცნობილი, რაკი ვაჭრობა და სავაჭრო ფლოტი გაუძლიერდათ: გაიჩინეს სამხედრო-სანაპირო დაწესებულებანი, მაგალითად, პორტები, დოკები, ქარხნები, სკოლები, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, ურომლისოდაც ფლოტი ფლოტი არ არის, რაც უნდა მრავალი და ძვირფასი გემებიც ჰქონდეს სახელმწიფოს შეძენილი. ამ რიგად, უდიდეს საქვეყნო საზღვაო სახელმწიფოს—ინგლისს—მოწაფე იაპონიამ ფლოტს თავიდანვე მტკიცე და შეურყეველი საფუძველი გაუჩინა, რადგან იცოდა თავის დაცვისა და გამაგრებისათვის იგი აუცილებელი იყო.

განსაკუთრებით გაიძლიერა ვაჭრობა ამ ბოლოს ათს წელიწადს; თავისი ნაწარმოები იაპონიას ჩინეთისა, კორეისა, ავსტრალიისა, ამერიკისა, ევროპისა (საფრანგეთისა, ინ-

აზრია. მართალია მანჯურიაში ეხლა დიდი სიცივეა, მართალია ისიც, რომ იაპონიის ჯარს თბილი ტანთსაცმელი დასჭირდება, მაგრამ ისიც მართალია, რომ იაპონელ ჯარის კაცებს სიცივისა სრულობით არ ეშინიანთ; ეს მე კარგად ვიცი. ჩვენი ხალხი სიცივესაც კარგად იტანს და სიცხესაც. ხომ იცით, ჩინეთ-იაპონიის ომი თებერვლამდე გაგრძელდა. მაშინ ჩვენ ჯარის-კაცებს საზაფხულო ცივი ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ სიცივეს სულაც არ შეუშინდნენ და მშვენივრად იბრძოდნენ. ამას გარდა ბევრს იმედი აქვს, რუსის ჯარი ხიშტით („შტიკით“) მუსრს გაავლებს და შიშის ზარს დასცემს იაპონიის ჯარსაო. ეს ტყუილი იმედია. ჩვენ ხალხს მეტად ემარჯვება, ძლიერ უყვარს ხელ-ჩართული ბრძოლა; იარაღის ხმარებაც კარგი იცის“.

ასე რომ იაპონელებს არც სიცივისა ჰშინებიათ, არც ხიშტისა. ამას წინად ერთი რუსის აფიცერიც სწერდა: იაპონელ ჯარის კაცებს ბრძოლის დროს სულ ფეთება მოსდით, ნეტა ხიშტზე როდის მივარდება საქმეო. მართლაც და იაპონელები მეტად კარგად ხმარობენ ხმალსა, ხანჯალსა და ხიშტსა. ამ მხრივ არავის არ დაუვარდებიან. რაკი საქმე ხიშტზე მიდგება, იაპონელ ჯარის-კაცი აფთრდება და სულ მუსრს ავლებს თავის მტერსა. იაპონელები დიდი ვაჟკაცები არიან. დამალვა, ამოფარება და სხვა ამისთანეები ჭკუაში არ მოსდით, პირდაპირ მოურიდებლივ მიდიან მტერზე. „ამოფარება მხდალის საქმეა, პატიოსანი ვაჟკაცი პირდაპირ, გულდაგულ უნდა მივიდეს მტერზეო“, -ამბობენ იაპონელები.

იაპონელ დიპლომატიის მოქმედება. ეხლა არც თუ იაპონელ დიპლომატებს აკლიათ საქმე. იაპონელი ელჩები ყველგან [illegible] მოქმედებენ, თავიანთ სამშობლოს ინტერესებს თავდადებით ესარჩლებიან და თვალს ადევნებენ, რომ სხვა დიდმა სახელმწიფოებმა ნეიტრალიტეტი მტკიცედ დაიცვან და რუსეთს დახმარება არ აღმოუჩინონ. იაპონელ დიპლომატებს ყველაზე ძლიერ გერმანიის გაიძვერულ პოლიტიკისა ეშინიანთ. იაპონური გავლენიანი გაზ. „კოკუმინი“ სწერს: „იაპონიამ ბეჯითად უნდა ადევნოს თვალ-ყური გერმანიის პოლიტიკასაო“.

ამ ჟამად იაპონელი ელჩები ყველგან ჩინეთის ელჩებს დაუახლოვდნენ და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე ეთათბირებიან. პეტერბურგში ელჩად ნამყოფი ბ-ნი კურინო 28 იანვარს ბერლინს წასულა. ბ-ნი კურინო სადგურზე დიდის მშვენიერის ვარდის თაიგულით მისულა. ნაცნობებს უკითხავთ, ეგ თაიგული ვინ მოგართოთო, იაპონელ დიპლომატს უთქვამს: ვერ ვეტყვით, ეგ დიდი საიდუმლოაო. ამბობენ, ეს თაიგული ამერიკის ელჩს გაეგზავნა კურინოსათვისაო. ბარონ გაიაშის უთქვამს ლონდონში: კურინო პატარა ხანს ბერლინში დარჩება და იქიდან შვეციის დედა-ქალაქ სტოკჰოლმში წავა ელჩადაო. ინგლისური გაზეთები შეჰნიშვნენ, ბ-ნი კურინო შვეციაში, ალბად, ერთ-ორ სიტყვას იტყვის რუსეთის სასარგებლოდაო.

ამას გარდა, იაპონიის მთავრობამ ბარონი კომეკო საგანგებო მინდობილებით გაგზავნა ამერიკას, ინგლისში კიდევ ბარონი იუკემასუ გაგზავნა.

დეპეშებიდან ვიცით, რომ ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰეიმ ყველა სახელმწიფოს სთხოვა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩინეთს ხელს ნურავინ ახლებთო. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს კომურას მიუწერია ჰეისათვის: იაპონია რუსეთს ეომება და არა ჩინეთს, ამიტომ ცის ქვეშეთის იმპერიას ხელსაც არ ახლებს, მანჯურიის გარდა, სადაც რუსეთს ჯარი უდგა. თუ ამ ჯარს გაიყვანინებთ, აღარც მანჯურიას ვახლებთ ხელს, მაშინ რუსეთს სხვა ადგილებში გავცემთ პასუხსაო.

მთავრობის განკარგულება

შინაგან საქმეთა მინისტრმა, იუსტიციის და საერო განათლების სამინისტროთა მმართველებმა და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა დაადგინეს: სრულიად მოისპოს გამოცემა ქართულ ჟურნალის „კვალისა“, რომელიც ტფილისში გამოდის.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 5 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნაშუადღევის 1-ლ საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუს მწერლის **ნ. კ. მიხაილოვსკის** სულის მოსახსენებლად.

◆ გუშინ, 4 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ქალაქის საბჭოს 3 თებერვლის **შემდეგი დადგენილება**: შორეულ-აღმოსავლეთში ომის გამო, ტფილისის ქალაქის საბჭომ სხდომის დაწყებამდე გარდაიხადა პარაკლისი, რათა ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა რუსის იარაღს გამარჯვება გადმოუვლინოს იაპონელებზე. ამასთანავე სთხოვოს, მის ბრწყინვალებას კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. გოლიცინს, მოახსენოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი და განუსაზღვრელი სურვილი ტფილისის მცხოვრებლებისა ემსახურონ ამ მძიმე დროს ტახტსა და სამშობლოს ყოველივე მითი, რასაც მოითხოვს დრო და გარემოება საყვარელ მეფის პირველ მოწოდებისათანავე; გადაიდვას ჯერ ხანად ქალაქის კასიდან 15,000 მან. ომში დასახიჩრებულთა სახლობების შემწეობის აღმოსაჩენად; გაიმართოს ხელის მოწერა იმ თანხის შესადგენად, რომელიც ზემოდ დასახელებულ საგანს უნდა მოხმარდეს; გადაიდოს 1000 მან. ტფილისიდან შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ ჯარის გასაცილებლად და მადლობა გამოეცხადოს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტფილისიდან აღმოსავლეთში ჯარის გაცილებაში.

◆ კვირას, 1-ლ თებერვალს, მოხდა **ტფილისის ვაჭართა** საზოგადოების კრება. სხდომის დაწყებისას ვაჭართა მამასახლისმა ალიბეგოვმა განაცხადა: რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში ომი დაიწყო, საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ შეძლების დაგვარად შემწეობა აღმოუჩინოს წითელი ჯვრის საზოგადოებასაო. ვაჭართა საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო წინადადება ალიბეგოვისა და ერთხმად დაადგინა 2500 მან. გადასდოს წითელი ჯვრის სასარგებლოდ. კრებამ შემდეგ განიხილა და შეუცვლელად დაამტკიცა წასულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1903 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას წინა წლის ხარჯს გადარჩენილი ფული ჰქონია ნაღდად და სარგებლიან ქაღალდებით სულ 29,980 მან. 44 კაპ.; საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია ვაჭართა ფონდიდან 15,736 მან. და სხვ.; სულ შემოვიდა 49,254 მან. 31 კაპ. აქედან 15,000 მან. დაიხარჯა საკომერციო სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად, 1254 ამავე სასწავლებლის კანცელარიის შესანახად და სხვა; სულ საანგარიშო წელს საზოგადოებას დახარჯვია 23,806 მან. 7 კაპ. დარჩა საზოგადოებას 1904 წლის 1 იანვრისთვის 25,400 მან. 24 კაპ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებას განსახილველად წარედგინა მოხსენება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში კიდევ —10 სტიპენდიის დაარსების შესახებ. მამასახლისმა მოახსენა კრებას, წარსულ წელში ამ საქმისათვის გადადებული 1200 მან. არა კმარა და კიდევ ახალი სტიპენდიებისათვის საჭიროა 1320 მან. გადავდვათო. კარგა ხანს თათბირის შემდეგ, კრებამ მიიღო ეს წინადადება. დასასრულ მოხდა არჩევნები. ვაჭართა მამასახლისად ამორჩეულ იქმნა ისევ ალიბეგოვი. შემდეგ ზოგიერთებმა დაასახელეს შადინოვი უნდა ამოვირჩიოთო. ამის გამო ალიბეგოვმა უარი განაცხადა. კენჭისყრით ვაჭართა მამასახლისად ამორჩეულ იქმნა ი. ა. შადინოვი, მის ამხანაგებად ა. ნ. მილოვი და ვ. ს. ეგიაზაროვი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად ა. ი. ახვერდოვი, ი. ა. ტერ-ოსეპიანცი და ი. პ. ულანცევი.

◆ **„კავკაზ“-ში ვკითხულობთ**: „3 თებერვალს, ქალაქ ბაქოში, ნაშუადღევის 2 საათი იქნებოდა, როდესაც სომეხთა ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს რუსეთის გამარჯვებისათვის; დიდძალი ხალხი ეკკლესიის კიბეზე იდგა და როდესაც პროცესია ჰიმნის სიმღერით გაემართა ქუჩებში სასიარულოდ, ვიღაცამ ყუმბარა გადააგდო ხალხში; ყუმბარი გასკდა და რამდენიმე კაცი დასჭრა. გამოძიება დაიწყო“.

◆ 27-დან 30 იანვრამდე, ქალაქ ყარსში, ერევნის საოლქო სასამართლომ გაარჩია 31 **სომხის საქმე**, რომელთაც ყარსში აჯანყების მოხდენა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ უარჰყო ეს ბრალდება და დამნაშავედ იცნო 25 კაცი ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში და მიუსაჯა მათ დაპატიმრება სხვა და სხვა ვადით; ექვსი სრულიად გაამართლა.

◆ **ამგვარივე საქმე** გაირჩა 31 იანვარს ყარსშივე. ბრალი ედებოდა სოფ. უხუტის მცხოვრებ 4 სომეხს. ამათგან ორი გაამართლეს და ორს მიუსაჯეს დაპატიმრება.

◆ 31 იანვარს, ერევნის საოლქო სასამართლომ ქ. ალექსანდროპოლში გაარჩია სომხების პ. ამატუნისა და ლ. ტერ-მინასოვის საქმე. მათ ბრალდებოდათ **უფროს პოლიციელის მოკვლის განზრახვა**. ორივე ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

◆ ერევნიდან „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ: 2 თებერვალს, საღამოს, ზანგის ნაპირზე ჩამოინგრა კლდე, რომელმაც სრულიად **დაანგრია ტყავის ქარხანა**. რამდენიმე კაცი დაიღუპა. ჯერ-ჯერობით ერთი მუშა ამოთხარეს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა.

◆ ავჭალაში ქალაქის წყლის მიღის გამგე-ტეხნიკოსმა [illegible] გუშინ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ამ ჟამად ქალაქ ტფილისს ავჭალიდან დღე-ღამეში 400,000-დან 520,000-მდე ვედრო წყალი მიაქვსო. აქედან წყაროს წყალია 280,000-დან 300,000 ვედრომდე, ხელოვნურად დაწმენდილი 120,000 ვედრომდე, ხოლო დანარჩენი მტკვრის წყალია. ამ ჟამად ქალაქი წმინდა წყალს დებულობს იმის გამო, რომ ჯერ კარგი ამინდებია და თუ რამდენიმე დღის შემდეგ მთებიდან გამდნარი თოვლის წყალი დაიძრა, მაშინ მტკვარი აიმღვრევა

გლისსა, გერმანიასა და რუსეთში) და საკუთარ ახალშენების (ფორმოზასა, კურილისა და ლიკეის კუნძულებზე) ქალაქებსა და პორტებში გააქვს. უმთავრესი გარეთ გასატანი საქონელი აბრეშუმია (მარტო ამერიკაში 14 მილიონ იენისა გააქვს), ნახშირი, თევზი, ჩალეული და ლაქ-დაკრული ხის ნამუშევარი, ასანთი, შუშა, თამბაქო, სამანუფაქტურო ნაწარმოები (უკანასკნელი ოთხი რამ მხოლოდ ჩინეთსა, კორეასა და ახალშენებში გააქვს) და ქაღალდი. სამაგიეროდ უცხო ქვეყნებიდან შემოაქვს: რკინა, მაშინები, ბრინჯი, ხე-ტყე, ღვინო და ევროპისა და ამერიკის დასამუშავებელი, სამრეწველო საგნები.

საზღვაო ვაჭრობის განვითარებასთან *) ერთად იაპონიის სავაჭრო ფლოტიც სწრაფად იზრდებოდა. 1870 წ. მარტო ერთი საგემო ამხანაგობა „მიტსუშიბი-კაიშა“ არსებობდა, ახლა-კი რამდენიმეა: „ნიპპონ-იუზენ-კაიშა“, „ოსაკა-ჩოინ-კაიშა“, „ტოიოკაიშა“ და სხვ. მრავალნი. რამდენად წინ მიდის და იზრდება იაპონიის სავაჭრო ფლოტი, ამის საჩვენებლად შემდეგი ცნობაც კმარა: 1-ლს ოქტომბერს 1894 წ. ზემოდაღნიშნულს „მიტსუშიბი-კაიშას“ 60 გემი ჰქონია 60,500 ტონის წყალ-წყვისა; 1899 წ.-კი მათი რიცხვი 75-მდე აუყვანია და 155,000 ტონამდე გაუზრდია.

საზოგადოებასა აქვს ვადიანი მიმოსვლა შანხაისთან, კორეასთან, ჩინეთის ჩრდილო პორტებთან, ბომბეასთანა და ევროპასთან. ზაფხულობით ვლადივოსტოკშიც დადიან, გარდა ამისა, დადიან გონ-კონგსა, გონოლულუსა და ავსტრალიაში. ნაპირებზე მთლად იაპონიის გემები მუშაობენ, რადგან მხოლოდ იაპონიის ერთი ნაწილია პორტებისა (ოტარუ, მუროჩანი, იოკოგამა, კობე, ხაგასაკი, მოჯი, ხაკოდატე, კუჩინოკუ, შიდზოუკა) ევროპიელთათვის სავაჭროდ გახსნილი.

ამ ბოლოს დროს გამოცემული კანონებიც სამშობლოში გემების შენებას ჰმფარველობენ. ტოკიოსა, იოკოსკასა, ოსაკასა, კობესა, ნაგასაკსა, კურესა, ონოხამასა და იშიკავაში იაპონიას გემების საშენებელი ქარხნები აქვს, რომლებსაც თვითოეულ 1000 ტონაში 25,000 იენი პრემია ეძლევათ. დოკები აქვთ იოკოსკასა, ნაგასაკსა, სასებოსა, კურესა, ტოკიოსა, ოსაკასა, იოკოგამასა, მაიძურასა, ნინგანტსა (პროექტია), ხაკოდოტესა (პროექტია), ონოხამასა და იმიკავაში. ჯერ-ჯერობით იაპონელები დიდ-დიდ გემებს არ აშენებენ, მაგრამ რამდენადაც მოთხოვნილება და საშუალება ეზრდებათ, იმდენად საქმესაც აფართოვებენ და მალე უთუოდ დიდ-დიდ საოკეანე გემებსაც დაუწყებენ შენებას.

მართალია, იაპონიის სავაჭრო ფლოტის შესახებ აქ მოყვანილი ცნობები კიდევ არ არის სრული და ნამდვილი, მაგრამ ესაც საკმარისია, რომ ვიცოდეთ, რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო, მაშასადამე, იაპონიისათვის სამხედრო ფლოტის შესაფერად გაძლიერება, რომ თავისი ინტერესები ყველგან ჯეროვანად დაეცვა.

საზღვაო რეფორმის შემოღებამდე 1896 წელს 1-ლს იანვარს იაპონიის სამხედრო ფლოტს შეადგენდა:

ჯავშნიანი გემები (ძველის ტიპისა)	6
კრეისერი 1 და 2 მეორე კლასისა (თანამედროვე და სწრაფები, სწრაფ-სასროლის არტილერიითვე)	10
კრეისერი 3 კლასისა	5
კორვეტი (სამ-ანძიანი სამხედრო ხომალდია, რომელსაც ზარბაზნები ბაქანზე უწყვია) შერეულ ნამუშავრობისა	7
კანონერის ნავი	8
ნაღმიანი კრეისერი და სწრაფ-მავალი ავიზო (ბრძანებათა და განკარგულებათა გადამცემი სწრაფი გემები)	3
სასწავლო გემები, ტრანსპორტები და სხვ.	10
ნაღმიანი გემები 1 და 2 კლასისა	45

ამათთვის ჰქონდა პორტებათა და ბაზებათ (ზურგის გამამაგრებელ ადგილებათ): იოკოსკა, სასებო, კურე, მაიძურა, ნაგასაკი და ხაკოდოტე. 1896 წ. 1 იანვრამდე, იოკოსკას გარდა, არც ერთს მათგანს საიმისოდ მდიდარი და დიდი საზღვაო-სამხედრო თოფხანა არა ჰქონია. 1896 წ. საზღვაო რეფორმამ-კი მეტად გააძლიერა აღნიშნული საადმირალო პორტები, რისთვისაც პირველადვე გადასდეს 28,320,000 იენი.

საზღვაო გემების საშენებელ პროგრამით, რომელიც 1896 წ. 1-ლს იანვარს მიიღო პარლამენტმა, შემდეგი გემები უნდა დაეკვეთათ და აეგოთ შინა:

	ტონისა თითო
4 ჯავშნიანი გემი	15,000
6 ჯავშნიანი კრეისერი	9,000
3 დახურული კრეისერი	4,800
2 „ „	3,200
1 სანაღმო ტრანსპორტი	6,750
3 ნაღმიანი კრეისერი	1,200
4 ნაღმიანი გამანადგურებელი	
23 ნაღმიანი გემი	120
31 ნაღმიანი გემი	80
35 ნაღმიანი გემი	54

ორი მესამედი აღნიშნულ გემებისა საზღვარ-გარეთ ინგლისში (არმსტრონგთან, იაროუსთან, ტორნიკროფტთან, Times Jron Works-თან), ამერიკაში (კრამპთან ფილადელფიაში და სან-ფრანცისკოში) და გერმანიაში (შიხაუსთან, ელბინგთან) შენდება; დანარჩენი ადგილობრივვე იაპონიაში შენდება. პროგრამა რეფორმისა 10 წლის განმავლობაში უნდა იქმნეს 1906 წლისათვის შესრულებული, მაგრამ, როგორც მუშაობიდანა და ფულის გადადებიდანა სჩანს, უფრო ადრე, 1903 წ. ყველა გემები მზად ექნებათ.

ჩვეულებრივი ყოველ-წლიური ხარჯი ფლოტისა 1896 წლამდე მხოლოდ 7,663,986 იენი იყო, მაგრამ რაკი გაძლიერება ჰქონდათ განზრახული, ადრევე გამოითხოვა საზღვაო სამინისტრომ პარლამენტის ნებართვა, რომ პროგრამის შესრულებიდან სახარჯოდ 15,000,000 იენი გადადებულიყო.

ამ რიგად დღეს იაპონიას უკვე გაძლიერებული მხედრობა და ფლოტი ჰყავს, საომრად სრულიად მომზადებულია. პირ-იქით, ამ ბოლოს დროს რამდენიმე სამაგალითოდ შეიარაღებული სამხედრო გემი კიდევ სხვა შეიძინა და ახლებიც შეუკვეთა საზღვარ-გარეთ, რომლებიც შესანიშნავად იქმნებიან შეიარაღებულნი.

ინ-ანი

---

*) 1898 წ. იაპონიიდან გატანილ და იაპონიაში შეტანილ საქონლის ღირებულებამ 432,727,186 იენამდე აიწია; ამასთან ორთქლისა და იალქნიანი გემები, რომლებიც საქონელს ეზიდებოდნენ, ეროვნობით ასე დაიყოფოდნენ:

	იენისა
ინგლისისას მიუტანია და წაუღია	207,863,370
იაპონიისას	106,632,023
გერმანიისას	59,168,181
საფრანგეთისას	27,378,663
და სხვა ეროვნებისათ	31,684,979
სულ	432,727,186 იენისა.

და ქალაქს აუცილებლად ამღვრეული წყალი ექნება სასმელადაო.

◆ ტფილისის ქალაქის ღარიბთა 1-ლ თავშესაფარის გამგემ გუშინ დაწვრილებითი ცნობები წარუდგინა ქალაქის გამგეობას თავშესაფარის წარსულ 1903 წელს მოქმედების შესახებ. წარსულ წელს თავშესაფარში ყოფილა 30,678 კაცი; აქედან მამაკაცი 27,731 და დედაკაცი 2947. ეროვნებით ღამის თავშესაფარით მოსარგებლენი ასე განიყოფებიან: რუსი მამაკაცი 11,124, დედაკაცი 1575, სომეხი მამაკაცი 11575 და დედაკაცი 650, ქართველი მამაკაცი 3901 და დედაკაცი 566, თათრები 377, პოლონელები 604 და სხვ. 16,160 შავი მუშაა. 3105 მოსამსახურე, ხოლო დავრდომილნი 5505 კაცი.

◆ ამ დღეებში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ვრცელი ანგარიში წარუდგინა ქალაქის გამგეობას, თუ რა გააკეთა პეტერბურგში საპროფესიო და სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა მესამე კრებამ. ქალაქის გამგეობამ, 31 იანვრის სხდომაზე განიხილა ეს მოხსენება და დაადგინა, მიიღოს იგი მხედველობაში ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◆ 3 თებერვალს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ძალზე დამთვრალს მაკარ შვედიუკს აუღია ბებუთი და თავისი თავი გულში მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ 2 თებერვალს, ბებუთოვის ქუჩაზე, პოლიციის მე-4 ნაწილში, საკოვის სახლში მიასწრეს და დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე არტემ მარკოზოვი, როცა იქ იპარავდა სხვა და-სხვა ნივთებს და ტანისამოსს.

—

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების № 190**, რომელშიაც მოთავსებულია: „უპსკრული“, ანდრეევისა (დასასრული). სურათები: შორეულ აღმოსავლეთში ჯარის გაგზავნა ტფილისიდან (სამი სურათი); რუსეთის ელჩი იაპონიაში, ბარონ როზენი; მანჯურიაში ეთის ჯარი (სამი სურათი) და ორი იკატურა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

3 თებერვალი

ება გაიხსნა თუ არა, ქალაქის მოურავმა ახსენა საბჭოს: ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ უმაღლესის ბრძანებით რუსეთის მხედრობა დღეს იაპონიასთან საბრძოლველად გამოწვეულია. მთელი რუსეთი აღტაცებით მიეგება ხელმწიფე იმპერატორის მოწოდებას და მკვიდრნი იმპერიისა ყოველის მხრიდან უქვეშევრდომილეს გრძნობას უძღვნის თავის ხელმწიფეს. თქვენ ყველანი მოწამენი ჰხართ, რა თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი ქალაქის მკვიდრნიც ამ მოვლენას. გამგეობამ დაადგინა, სანამ საქმეთა განხილვას შევუდგებოდეთ დღეს, ჯერ პარაკლისი გადავიხადოთ, და შევევედროთ უფალს, რომ რუსეთის მხედრობას მტერზე გამარჯვება მიანიჭოს. დარწმუნებული ვართ, ამ დადგენილებით გამგეობა სწორედ საბჭოს სურვილის თანახმად ჰმოქმედებდა. მერე მოურავმა მოახსენა, რომ ციმბირში მიმავალი ჯარი ქალაქის სახელობით წმ. გიორგის ხატით დავლოცეთ და სახსოვრად ოთხი აზარფეშა მივართვითო.

პარაკლისი გადაიხადეს. ხმოსნების გარდა დაესწრნენ გამგეობაში ყველა მოსამსახურე და დარბაზის ქანდარაზე ბლომა ხალხი. პარაკლისის შემდეგ არქიერის მგალობელთა გუნდმა სამჯერ შეასრულა რუსეთის სახალხო ჰიმნი, რომელიც სამჯერვე ურას ძახილით მიიღო საზოგადოებამ. მერე მოურავმა საბჭოს მოახსენა შემდეგი დადგენილება გამგეობისა შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყების გამო: 1) საბჭოს კრების დაწყებამდე საბჭოს დარბაზში პარაკლისი იქმნეს გადახდილი, რომ ყოვლად შემძლებელმა უფალმა იაპონელებზე რუსეთის გამარჯვება მოიღოს; 2) ქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოეცხადოს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისა და ყველა მცხოვრებლებისაგან მთავარ-მართებლის რით; 3) ომში დახოცილთა და დაჭრილთა ოჯახების დასახმარებლად ამ ხანად 15 ათასი თი გადაიდოს; 4) ტფილისიდან მიმავალ ჯარების გზის დასალოცად ათასი მანეთი გადაიდოს და 5) ნება გამოვითხოვოთ, რომ ქალაქის გამგეობაში ხელის მოწერა იქმნეს გამართული ომში დაზარალებულთა შესაწევნადო.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

შემდეგ გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანს შეუდგნენ ბ-ნ მუსტაკოვის მაგიერ, რომელმაც ოთხ თვეზე მეტია სამსახურს თავი დაანება. ამ თანამდებობაზე კენჭის ჩამოტარების სურვილი წერილობით გამოეცხადებინათ გ. ა. კლიმოვსკის და პ. გ. ბოლდანოვს. საბჭომ ბარათებით დაასახელა კანდიდატებათ რამდენიმე კაცი, მაგრამ ამათგან, როგორც მოგეხსენებათ, თავ. ნ. ი. არგუთინსკი-დოლგორუკოვი აირჩია.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ დღეებში 75 წლიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც რუსეთის გამოჩენილი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი გადაიცვალა. გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს განცხადება შეუტანია გამგეობაში: გრიბოედოვის სახელი ბევრ-გვარად დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან და ამიტომ სიმართლე მოითხოვს იმის სახელი, რომელისამე საზოგადო კეთილის საქმით აღვნიშნოთო. გამგეობას დაუდგენია და საბჭომაც მოიწონა, რომ ქალაქმა ახალი სკოლა დააარსოს ა. ს. გრიბოედოვის სახელობაზე.

ხმ. ლ. ფ. ტიგრანოვს წერილობით განცხადება შეუტანია გამგეობაში, ცალკე კომისია აირჩიოს საბჭომ განსაკუთრებით იმისათვის, რომ შუა-ბაზარში ტრამვაის გასაყვანად ქუჩის გაგანიერების შესახებ საქმეთა ვითარება შეისწავლოს, გამოიკვლიოს და თავისი აზრი საბჭოს მოახსენოსო. საბჭომ შემდეგი ცხრა კაცი აირჩია ამ კომისიის წევრებად: ლ. ფ. ტიგრანოვი (32—2), გ. გ. კირაკოსოვი (31—3), ა. ს. ბუღდანოვ-ბაღდასაროვი (31—3), ა. ს. ბაბოვი (29—5), ი. მ. დოლუხანოვი (27—7), თავ. ა. ა. ბებუთოვი (26—8), ს. დ. ლისიციანი (26—8), ა. ს. დულაძე (25—9) და ა. ბ. ევანგულოვი (25—9).

სახელმწიფო და საერთო გადასახადების კომისიაში გარდაცვალებულის ხმოსნის თაიროვის მაგიერ საბჭომ აირჩია ა. ბ. ევანგულოვი (28—6).

რუსეთის ქრონიკა

◆ „კიევ. გაზ.“-ი სწერს: კიევში ქალთა უმაღლეს კურსების დაარსება საერო განათლების სამინისტროს მიერ ნება დართულ იქმნაო.

◆ 31 იანვარს, პეტერბურგში დაასაფლავეს რუსეთის გამოჩენილი მწერალი ნ. მიხაილოვსკი. დასაფლავებას თურმე აუარებელი ხალხი დაესწრო. განსვენებულის კუბოს 150-ზე მეტი გვირგვინი ამშვენებდა. სამი ბალდახინი სავსე იყო გვირგვინით. კუბო რამდენისამე ვერსის მანძილზე სტუდენტებს ხელით მიჰქონდათ. საზოგადოებამ იქვე, საჩქაროდ, ათასი კაცისაგან ხორო შეადგინა და საფლავამდე გალობდა. დასაფლავებას პეტერბურგის ყველა მწერალი, მრავალი ექიმი, პროფესორი და სხვა ინტელიგენცია დაესწრო. ბევრი ლექსი და სიტყვა წაიკითხეს; დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთის ხელოსნის სიტყვამ, რომელიც ამ დღეს პეტერბურგში 7 ათასს ვერსის მანძილიდან მოვიდა. ხელოსანმა, სხვათა შორის, სთქვა, ხელოსანთა ერთი წრე, რომელიც სასწავლებლებს მოკლებული იყო, განსვენებულის ნაწარმოებით იზრდებოდა და ვითარდებოდაო. განსვენებულის დასაფლავების ცერემონია დილის 9 საათზე დაიწყო და საღამოს 5 საათზე გათავდა.

◆ აწ განსვენებულს ვ. ველიჩკოს პოლტავის გუბერნიაში დარჩა უშველებელი მამული, რომელიც რამდენიმე ასი ათას მანეთად ფასობს. ველიჩკოს ანდერძით თავის ცოლისათვის თურმე არაფერი დაუტოვებია. ყველა უძრავი ქონება ანდერძით თავის ნათესავ-ქალ მურეტოვასათვის უანდერძებია. იმის ქალს, მურეტოვისას, ყველა მოძრავი ქონება და სალიტერატურო უფლებანი დაუმკვიდრა. ველიჩკომ თავის ორ შვილს თითოს 40.000 მან. მისცა; ეს ფული მურეტოვისას ექმნება და ყოველ წლივ ნაწილ-ნაწილად მისცემს. ველიჩკოს ქალმა სასამართლოში იჩივლა, მურეტოვის სახელობაზე მამული არ დაამტკიცოთ, რადგან მამა ჩემი, ვ. ველიჩკო ანდერძის შედგენის დროს სულით ავადმყოფი იყოო. ამას გარდა პოლტავის მამული, რომელიც მამა ჩემმა მურეტოვას დაუტოვა, 300 წლის განმავლობაში საგვარეულო იყო და კანონის ძალით სხვას არ გადაეცემაო.

◆ ერთ ვარშაველ მდიდარ ებრაელს გადაუწყვეტია, თავისი დიდი მამული ნაწილ-ნაწილად დაჰყოს, ებრაელებს დაურიგოს და ამით ვარშავის ახლო ებრაელთა კოლონია დააარსოს.

თეატრი

დღეს, 5 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი ჩვენის დამსახურებულის არტისტის ვალერიან გუნიას საბენეფისოდ ჰმართავს წარმოდგენას. არტისტს თავის ბენეფისისათვის ორი ახალი პიესა დაუმზადებია: 1) „ჩატეხილი ხიდი“, დრამა 5 მოქმედებად (ნორდაუდან) და 2) „ახირებული შემთხვევა“, კომედია 2 მოქმედებად, თარგმნილი მ. გორკიდან.

—

ქუთაისი. 2 თებერვალს, ქართულ დრამატიული საზოგადოების დასმა ვალერიან გუნიას საბენეფისოდ წარმოადგინა შექსპირის „ოტელლო“. ოტელლოს როლს ასრულებდა თვითონ მობენეფისე. ხმა, თვალ-ტანადობა და ხან და ხან საჭირო მოუხეშაობაც ხელს უწყობდა, რომ საზოგადოდ კარგად და, ალაგ-ალაგ ჩინებულადაც, შეესრულებინა ეგ რთული როლი. დეზდემონას როლს ასრულებდა ქ-ნი მდივნის ასული, რომელიც კარგი დეზდემონა იქმნებოდა, რომ მასს თამაშში მეტი გრძნობა ყოფილიყო ჩაქსოვილი; ხან და ხან როლის უცოდინარობაც ემჩნეოდა—რაც ქ-ნ მდივნის ასულზე იშვიათად ითქმის—და მაყურებელს შთაბეჭდილებას უხდენდა. ბ-ნმა გამყრელიძემ მოხდენილად შეასრულა ვენეციის მთავრის პატარა როლი. ბ-ნი ბალანჩივაძე საზოგადოდ კარგად თამაშობდა, მაგრამ ალაგ-ალაგ მის თამაშს რაღაც აკლდა, რის გამო ვერ დაგვიხატა სავსებით ისეთი იაგო, როგორიც საჭირო იყო. გვარიანი მონტანო იყო ბ-ნი დ. ჩარკვიანი. ბ-ნ თუთბერიძეს ქცევა თუმცა კეთილშობილ კასიოსი ჰქონდა, მაგრამ მის თამაშს რაღაც ძალ-დატანება ემჩნეოდა, ნამეტურ სიმთვრალის დროს. ქ-ნი რონელი საზოგადოდ სუსტია დრამატიულ როლებში და აქ ხომ ყველას აშკარად დაანახვა თავისი სისუტე: მისი წუწუნი და უგულოდ სიტყვების რახა-რუხი ნამეტურ მეხუთე მოქმედებაში, როდესაც მომაკვდავ დეზდემონას დაინახავს,—გასურვებინებდათ, ნეტამც მალე გათავდებოდეს ეგ სცენაო. ეგევე უნდა ვთქვათ ბ-ნ ზარდალიშვილ-ლოდოვიკოვზედაც, რომელიც ნაძალადევად ჰკლავდა სიტყვებს. დანარჩენებიც საზოგადოდ ძლიერ სუსტობდნენ... წარმოდგენას საზოგადოება, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა დაესწრო, და ამას მიზეზი ის იყო, რომ ამ დღეს ქალაქის საკრებულოში გამართული იყო საცეკვაო საღამო სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილებით ქალების ეპარქიალურ სასწავლების სასარგებლოდ. მობენეფისეს მიართვეს რამდენიმე საჩუქარი და აუარებელი „ვაშა“ და ტაში.

დონ-ვალიანი.

—

P. S. ხუთშაბათს, 5 თებერვალს, ძმ. გამყრელიძეების საბენეფისოდ წარმოდგენილი იქმნება „ექიმი შტოკმანი“. პიესის დიდებული შინაარსი ძმ. გამყრელიძეების ბეჯითობა, დაუღალავი შრომა ქართულ სცენაზე და ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობა (ექიმის შტოკმანის როლს შეასრულებს) სრული თავდებია, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრება წარმოდგენას.

დ. ვ.

დრამატიულ საზოგადოების საყურადღებოდ

თეატრის წლევანდელი სეზონი თავდება, ორიოდე დღე-ღა დარჩა. ამ სეზონმა იმდენი არეულ-დარეულობა გვაჩვენა, რომ მომავლისათვის დრამატიულ საზოგადოებას ბევრი საფიქრებელი აქვს სამერმისო თადარიგის დაჭერისათვის და ამას კარგი დრო ეჭირვება.

ამისთვის უეჭველად სეზონის გათავებისას საჭიროა მალე საზოგადოების წლიური კრება მოხდეს და სრული ანგარიში წარადგინოს გამგეობამ, (ვამბობთ სრულიო, ამიტომ რომ ამას წინად მოხსენებული ანგარიში ერთ მტკაველ ფურცელზე ჩამოთვლილი ციფრები იყო ფულის შემოსავალ-გასავლისა).

გამგეობამ ეს საზოგადო კრება დაუყოვნებლად ამ დიდ მარხვაში უნდა მოახდინოს, თუ ამ ხანში წარმოდგენებს აღარ აპირებს და თუ აპირებს, დაუყოვნებლივ იმის შეწყვეტის შემდეგ.

ეხლა გამგეობას ვადა უთავდება და ახალ გამგეობის ამორჩევა სავალდებულოა. საზოგადო კრებას ვალდებულება აქვს უკეთესად მოისაზროს წინადვე გამგეობის წევრების ამორჩევა, რომ ისეთი საქმე არ დაემართოს, როგორც ეხლანდელ გამგეობას. ერთნი უდროო დროს ჩამოეცალნენ, მათი კანდიდატებიც არ ჩანდნენ და მთელი ზრუნვა და გაძღოლა ორიოდ კაცს მოახვიეს, რომელთა მუშაობას ბევრი ნაკლულევანება მოჰყვა და ამან კიდევ ყალ-მაყალი ასტეხა.

გამგეობის ამორჩევასთან კარგა ბლომად საგანია შეკავშირებული და ამაებზე მოსაზრება წინადვე ეჭირება ყოველ წევრს საზოგადოებისას. ამიტომ სასურველია, საზოგადო კრებაზე წევრნი მომატებულის მომზადებით დაესწრნენ და ისე ცულგრილად არ მოეკიდნენ, როგორც ჩვეულებად გახდომიათ.

მე მგონია მეტი არ იყოს ჩამოვთვალოთ რა და რა საგანია საზრუნველი მომავალ სეზონისათვის.

1) იტვირთოს თუ არა მომავალ სეზონში ანტრეპრენერობა დრამატიულმა საზოგადოებამ? წარსულმა დრომ გვაჩვენა, რომ როდესაც საზოგადოება უთმობდა ანტრეპრიზას კერძო კაცებს, არეულ-დარეულობა არტისტებში ხშირად ხდებოდა და ქართული სცენა განსაცდელში იმყოფებოდა. ეხლა ამ ჟამად საკითხველია, უკეთესი იქნება რომ ამნტრეპრიზაზე ხელი აიღოს, თუ ისევე განაგრძოს, როგორც უკანასკნელ წლებში იყო?

2) თუ გადასწყვეტს, რომ ანტრეპრიზა დაირჩინოს საზოგადოებამ, სასურველია თუ არა დღევანდელ გარემოებაში, რომ შარშანდელსავით ტფილისშიაც და ტფილისს გარეთაც იკისროს, თუ თავისი ეს ანტრეპრიზა მარტო ტფილისის სცენას დაუმყაროს, როგორც წინა წლებში იყო.

3) შედგენილ იქმნას ინსტრუქცია გამგეობის მოქმედებისთვის. დღევანდლამდე არა გვაქვს ამგვარი ინსტრუქცია, ურომლისოდაც მოქმედების დროს გამგეობის წევრებმა არ იციან, როგორ გაინაწილონ საქმეები და ამის გამო ყოველთვის არეულობა ხდება მუშაობის დროს. ინსტრუქციაში უნდა მოთავსებული იყოს გამგეობის წევრების მოქმედების განაწილება და ყოველ ნაწილის მუშაობის განსაზღვრულება. ამ ინსტრუქციის შესადგენად კომისია უნდა იქმნას ამორჩეული და ვადა დაენიშნოს პროექტის წარმოდგენისათვის.

ყველა ესეები ვამბობთ სეზონის გათავებისთანავე მალე უნდა განხილულ იქმნას საზოგადო კრებაში. ეს საჭიროა, რომ ახალი გამგეობა დროზე შეუდგეს მომავალის სეზონისთვის მზადებას.

ჩვენს მდგომარეობაში ქართულ სცენას მომატებული მზადება სჭირდება, ვიდრე სხვა სცენებს. საზოგადოების მოთხოვნილება ეხლა მეტია წინანდელზე, მაშასადამე შრომას მეტს მოითხოვს გამგეობისა და სცენის მსახურთაგან. თუ საზოგადოების მოთხოვნილებას არ ასრულებს თეატრის მსახური, გამძღოლია თუ არტისტი, ეს სიკვდილია ამისთანა გამძღოლისაც და არტისტისაც.

კარგა დავიხსომოთ, რომ ქართულ თეატრს განსაცდელი მოადგა. ამ განსაცდელის თავიდან აცილება სავალდებულოა დრამატიულ საზოგადოებისთვის და ყველასათვის, ვისაც-კი ქართული თეატრის დღეგრძელობა და წინ-სვლა ძვირფასად მიაჩნია.

ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმგვარ წვრილმან საკითხებს, რომელიც დღევანდლამდე გვინახავს საზოგადო კრებებზე, როდესაც საკანკლო საგნებს ეხებოდნენ ხოლმე არტისტების შესახებ, ნურც იმას გამოვუდგებით, რაც უხამსად მოხდა „ლალატი“-ს თამაშობისაგან და მასზე შეუფერებელი ლაპარაკისაგან. თეატრის ხელოვნების საქმე უფრო მაღალია ამწვრილმანებზე, და წვრილმანების გამოდგომა თავ საგანს მოგვაშორებს.

საფიქრებელი ახლა მომავალი სეზონისათვის მზადება არის და ამისათვის მარჯვე გამგეობის ამორჩევა, ეს არ უნდა დავაგვიანოთ. ეს ერთი.

მეორე, უნდა დავეხსნათ უაზროდ გამგეობის წევრების ამორჩევას და ყვირილს, „პროსიმ, პროსიმ“, ჩავაცივდებით მოლიტინე და ბევრის მოლაპარაკე კაცებს, თითქოს ლაპარაკი საქმიანობის მაჩვენებელი იყოს. დროა ვიცოდეთ გამორჩევა, ვიცოდეთ მოსაქმეების და შრომის ლონე ამისარჩევ კაცებისა, სცენის ცოდნისათვის, ვიცოდეთ, რომ შეუძლიათ დრო შესწირონ მუშაობას, მო-

ცალეობა ჰქონდეთ. თორემ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სნეულება, გამოურჩევლად გამოუსადეგარ კაცების ჩაყენება, ძირს უთხრის ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებათ. კმარა და კმარა ამდენი შეუფერებელი არჩევანები. მხნე და მომუშავე კაცები გვექირება და არა ფუქსავატი ფაცა-ფუცი.

პ. უმიკაშვილი

დაბა-სოფლები

სოფ. სვერი (იმერეთი). არ იქმნა და არ აღეძრა სვერელებს სურვილი, რომ სწავლაზე იფიქრონ და სკოლა დააარსონ თავიანთ ბავშვებისთვის. რა ეშველება ამოდენა სოფელს, სადაც ორას-ორმოცი კომლი ცხოვრობს! ერთ აღდგომას გამოუცხადეს სვერელებს სწავლა-განათლების მსურველებმა, როცა ეკკლესიაში იყო მოგროვილი სოფელი, რომ გადაეგდოთ მომავალი დღეობა, რომელსაც შვიდს მაისს იხდიან. თვითეულ მოსახლეს არ ეყოფა საშუალო რიცხვით ოცი მანეთიო, ამოდენა ხარჯს უმჯობესი იქმნება თვითეულმა თითო თუმანი გამოვიღოთ და სკოლა დავაარსოთო. ამაზე სოფელმა დიდი უარი განაცხადა: რამდენმამე მათგანმა თქვა, რა უნდა მომცეთ იმაზე უკეთესი გამახარებელი, როგორიც არის შვიდ-მაისიო. რა სჯობია ერთ შეზარხოშებას და მერმე ამ სიმღერას: „მოდი ჩემო შვიდ-მაისო, იქნებ ფერდი ამომივსოვო“.

აქეთ არის ერთი მეტად მშვენიერი წესია: ყოველ სოფელში ამოირჩევენ ხოლმე ხევის-თავს რამდენსამე კაცს, ესე იგი, ყოველ უბანში თითო კაცს. ეს ამორჩევა ბოქაულის ნება-რთვით უნდა მოხდეს. ამ ხევის-თავების მოვალეობა არის უყურონ სოფელს, რომ ქურდობა არაფერი მოხდეს, ან არ შემოიტანონ სოფელში ნაქურდალი, ან არ გაიტანონ. სხვა ვერაფერს საქმეში ვერ გაერევიან. ეს დანიშნულება მეტად სიმპატიურია, ჩემის აზრით, რადგან ქურდობის შემამცირებელია სოფელში; მაგრამ ეს ამორჩეული ვაჟბატონები ხან და ხან მეტად აჭარბებენ ხოლმე თავიანთ დანიშნულებას: იმ საქმეში ერევიან, რის განხილვაც სოფელს არ მიუნდვია მათთვის.

აქეთ არც ექიმზე ვართ გულ-უნაკლულო. ჩვენი ექიმი არის დ. დალაქი. ვისაც ან კბილი აქვს ამოსაძრობი, ან აპერაცია აქვს გასაკეთებელი, დ. დალაქის მეტს არავის ენდობა. შინაგან ავადმყოფობის ექიმი კი მკითხავია. როდემდის უნდა იქმნეს ასეთი სიბნელე ჩვენსკენ!

ტ. ჯაფარიძე.

ჭიათურა (იმერეთი). ჩვენს დაბაში მუდამ სიმთვრალეა, მუდამ ჩხუბი, მუდამ აურ-ზაური, მუდამ ლანძღვა-გინება, მუდამ მკლავაძეები, მეტადრე კვირაობით. 1 თებერვალს, საღამოს 5-საათზედ, როდესაც ჭიათურიდან ჭიქოურში საქონლის მატარებელი მიდიოდა, ორი ძალზე მთვრალი „ძმა ბიჭი“ რკინის გზის ლიანდაგზედ მიბარბაცებდა. ერთი ამათგანი გადაუდგა მატარებელს, ხოლო მეორე გულ მაგრად გაჩერდა ლიანდაგზედ. შენიშნა რა ეს ვაგონების გადამბმელმა პატრიძემ, რომელიც იმავ მატარებელს მიჰყვებოდა, ანიშნა მემანქანეს მატარებელი გააჩერეო. მემანქანემ სწრაფად შეაჩერა მატარებელი, რომლის დროსაც პატარიძე ვაგონებს შუა ჩავარდა და ორივე ფეხი მოიტეხა. ამ რიგათ ლოთის მეოხებით საბრალო კაცი დაიღუპა. ეს გულ შემზარავი უბედურება მოხდა საავადმყოფოს მახლობლად. პატარიძე საავადმყოფოში წაიყვანეს და ექიმმა ყოველივე საშუალება იხმარა. საბრალოს ტფილისის საავადმყოფოში ჰგზავნიან.

იქაური საზოგადოება იმდენად დაინტერესებულია შორეულ-აღმოსავლეთის ომის გამო, რომ მოვა ფოსტა თუ არა, ურიცხვი ხალხი იკრიბება ფოსტის წინ და ერთმანეთს სტაცებენ ხელიდან დღიურ გაზეთებს. ჭიათურაში თოვლი დადნა. დიახ, დადნა, მაგრამ რომ არ დამდნარიყო, უმჯობესი იქნებოდა. ბაზრის ქუჩებში იმოდენა ტალახი დგას, რომ ნავია საჭირო გასასვლელად და ბაზრის „დეპუტატები“ არაფერსა ზრუნავენ.

ლადო გუბელი

ლარსი. ზასლავის უფროსის თანაშემწეს კოლიევს ბალთაში, წარსულ წელს სამი ძროხა მოჰპარეს ქისტებმა, ეს არ აკმარეს და ახლა ერთი ცხენ და ცხვარი-ღა ჰყვანდა და ისეც იანვრის ოცდა შვიდში მოჰპარეს. კვალი წყალ-გაღმა ქისტების სოფელ დლინი-დალინაში გაიტანეს.

საბრალო ლარსელებს ხომ აღარა შეარჩინეს-რა ქისტებმა. ახლა ქისტის სოფ. ჯაირახიდან (სადაც ყოველთვის ნაპარავების კვალი მიდის) გამოვიდნენ ყონაღი (რასაკვირველია, ნება უნებური ყონაღები) ქისტები და ურჩიეს ლარსელებს: „დაიქირავეთ ვინმე ჩვენებური ქისტი; სასყიდელი კარგი გაიღეთ და ფიქრი ნუღარ გექნებათ, ყარაული თუმცა აქ არ იცხოვრებს, მაგრამ მაინც აღარაფერი დაგეკარგებათ, თუ ასე არ მოიქცევით, იცოდეთ, არეფერს შეგარჩენენო“.

მეტი რა გზაა, ლარსელებო?—უნდა დაემორჩილოთ ყონაღი ქისტების გულკეთილ რჩევას, თუ არა და, ხომ ხედავთ, გვეუბნებიან ყონაღი ქისტები, ინანებთო...

ქართველი ოსებში

სოფ. სნო (ხევი). 4 იანვარს სნოს საეკკლესიო სამრევლო ორ-კლასიან სკოლის დარბაზში უნდა გაემართნათ მოწაფეთათვის შობის ხე, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო შობის ხე აღარ გამართეს და სამაგიეროთ გამართეს წარმოდგენა და სალიტერატურო სამუსიკო საღამო. წარმოადგინეს მეხუთე მოქმედება „სამშობლოსი„, „დედა და შვილი“ და „მეჭორეები“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ქალი ო. მ. ხაინდრავა; ადგილობრივი მცხოვრებნი: დ. ღუდუშაური, ი. ვარძუკაშვილი, ს. ღუდუშაური და ორიც მოსწავლე ქალი: ს. ღუდუშაური და ე. ღუდუშაური. წარმოდგენას ყველა უფასოდ დაესწრო, რამაც ბევრი ხალხი მიიზიდა. ყველა მოთამაშეთ კარგათ შეასრულეს თავიანთი როლი; წარმოდგენას გამგეობდა მასწავლებელი ო. ხაინდრავა. შემდეგ წარმოდგენისა, მოწაფეებმა კარგად წაიკითხეს ლექსები და სცენები. იმღერეს სიმღერები ქართულათ და რუსულათ მასწავლებელ ქალის ხაინდრავას ლოტბარობით. შემდეგ უჩვენეს ბუნდოვანი სურათები და სულ ბოლოს გაიმართა „ცანგალა და გოგონა“, რასაც მოჰყვა მოწაფეების ცეკვა. საღამოს გათავების შემდეგ, მასწავლებელმა ხაინდრავამ მოწაფეებს დაურიგა ძვირეოდენი საჩუქრები და სტუმრები მიწვეულ იქმნენ გამართულ ვახშამზე საღამოს დაესწრნენ, მეზობელ სოფლების სკოლების მასწავლებლები და სხვა გარეშე პირნიც.

ამ საღამომ საერთოდ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება იქონია და მადლობელი არიან მასწავლებელ ხაინდარავასი, საღამოს მეთაურობისათვის.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ხევში მცხოვრებნი სკოლა-წარმოდგენებსა და საღამოებს თანაგრძნობით ეკიდებიან, მხოლოთ სამწუხარო ის არის, რომ ხევის სკოლებში მასწავლებლები დიდხანს არა რჩებიან და სხვაგან გადასვლას ცდილობენ...

ერთი დამსწრე

ს. ვარდისუბანი (კახეთი). ვარდისუბანი მაღლობ ცივ გომბორის კალთაზე არის შეფენილი და ამიტომ ზამთრობით აქ ძლიერ ცივა და ზაფხულობითაც გრილა. აქ ცხოვრობს 400 კომლამდე. ეს სოფელი ორ სამრევლოდ გაიყო 1894 წელს და ამ წელსვე დაარსდა სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლა დეკანოზის მ. მიხეილ ხელაშვილის გულმოდგინე მეცადინეობით. მართალია, ხალხი დიდ უარზე იყო სკოლის დაარსებისათვის, მაგრამ მუქთად არ ჩაიარა მ. დეკანოზის რჩევა-დარიგებამ ხალხისადმი და ბოლოს თანახმანი გახდნენ სკოლის დაარსებისა შემდეგის პირობებით: სოფელს უნდა მიეცა მხოლოდ ოთახი და შეშა როგორც მასწავლებლისათვის, აგრეთვე სკოლისათვის, დანარჩენი ყველა სკოლის ნივთები უნდა ეკისრნა თელავის სამრევლო სკოლების განყოფილების საბჭოს. ოთახი იქირავეს, მხოლოდ ადგილობრივმა დეკანოზმა მ. ზაქარია მთვარელიშვილმა აღუთქვა სოფელს სამის წლის ქირა სახლისა, აგრეთვე გადასცა სოფელს ოცდახუთი მანეთი ფულად, რომ ეყიდნათ სხვა წიგნები სკოლისათვის. ადგილობრივმა მღვდელ-დიაკვანმა დაიჭირა (ჯერ-ჯერობით) მასწავლებლობის ადგილი, ვიდრე საკუთარს მასწავლებელს დაჰნიშნავდნენ. პირველს ხანებში მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა 20—25-ს და იმ დროიდან კი, როდესაც საკუთარი მასწავლებელი დანიშნეს, მოსწავლეთა რიცხვმა იმატა. ამ ჟამად სამი განყოფილებაა 1, 2, 3 და სულ არის 50 მოწაფე. ეს რიცხვი ამისთანა დიდი სოფლისათვის, რომელიც 400 კომლისაგან შესდგება, ძლიერ მცირეა, მაგრამ უადგილობისა გამო იძულებულნი არიან ენკენისთვეში მისაღებად მოყვანილი ბავშვები ისევ უკანვე წაიყვანონ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლივ ბავშვების რიცხვი მატულობს და კარგადაც აქვთ შეგნებული სკოლის მნიშვნელობა, მაინც დღემდის ვერ ააგეს საკუთარი შენობა და ვერ გამოაცალეს ბავშვები იმ თაგვის სოროს, რომელიც პირველად დაიქირავეს. იქნება იკითხოს ვინმემ, ნუ თუ ამოდენა სოფელს არ შეუძლიან სკოლის აგებაო? აგება კი შეუძლიან და არც გაუჭირდება, მაგრამ „მოსე მწერლების“ წყალობით, რომელნიც აშინებენ ხალხს, რომ თუ საკუთარი შენობა ააგეთ, მაშინ მასწავლებლის ჯამაგირიც თქვენ უნდა იხადოთო, იძულებულნი შეიქმნენ უარი ეთქვათ სკოლის აგებაზე. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი სუსტი მხარე სკოლისაც. რაც დაარსებულა ეს სკოლა და შიგ ერთი გახუნებული შკაფი დაუდგამთ, არავითარი ბავშვებისთვის საკითხავი წიგნაკი არა არსებობს. ამ შკაფში მხოლოდ ძველ რვეულებს და დედაენის დაფლეთილ წიგნებს უჭირავს ადგილი და შიგვე დაფხაკუნებენ დამშეული თაგვები. დიდს სამადლობელს საქმეს იქმს, ვინც ან წიგნებს რაიმეს ან ფულს შემოსწირავს „ჯეჯილის“ გამოსაწერად და მით დააკმაყოფილებს ბავშთა თხოვნა-მუდარას, რომელნიც ყოველდღე მოსვენებას არ მაძლევენ და შემომტირიან შემდეგის სიტყვებით: „მასწავლებელო, საკითხავი წიგნი მომეციო“. თუ ვინმე თანაუგრძნობს ბავშვის დაკმაყოფილებას ან ფულად ან წიგნით, გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: Въ г. Телавъ. Учителю Вардисубанской церковно-приходской школы Александру Лев. Мтварелишвили.

ცივის კალთელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 თებერვალი

სიმბირსკი. გამოვიდა პირველი ნომერი „სიმბირსკი ლისტოკ“-ისა. გამომცემლად ბიჩკოვისაა.

შუშა. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო.

ნიუ-იორკი. („რეიტ. სააგ.“). სენატორი მარკ ჰანნა გარდაიცვალა.

რეველი. ლივერპულიდან რეველს მიმავალი ინგლისის გემი „ტრიესტი“-ი კუნძულ ნარგენთან დაზიანდა. გემები „მეტეორ“ ი და „კარინ“-ი საშველად წავიდნენ. დაწვრილებით ცნობები არ არის.

4 თებერვალი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, 6 თვით შეჩერებულ იქმნას გაზეთ „ვესტნიკ იუგა“-ს გამოცემა.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო“). უსკიუბიდან და პრიზრენიდან კონსულების დეპეშები იუწყებიან, დიაკოვოს ოლქში მეამბოხე ალბანელთა და ოსმალეთის ჯარებ შორის შეტაკება მოხდაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,02½
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	95,05
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	93½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	92½ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	353½ გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	291 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	250 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.)-

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევს 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს საკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ვარდისფერი
ბროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში ბევრი გლიცერინია.

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ყაირათიანია.

გარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც საუკეთესოდ ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი
კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა
და რიგაში.

(მკ. 10.—8)

«წიგ.-გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	[illegible]
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—
რძე, მისივე	1	50

ყველა წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაის[illegible] წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, [illegible]დის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დ[illegible]ბით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозв. ценз. Тифлисъ 4 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва